„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

# მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

რედაქცია ღიაა ყოველ დღე: დილის 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 24. კვირა, 3 ივლისი 1905 წლისა. № 24.

**შინაარსი:** უკანასკნელი ამბების გამო.—სამხედრო წესის შემოღება ჩვენში, სან—დონისა.—მთავრობის განკარგულება.—ოფიციალური ცნობა.—სხვა და სხვა ამბები.—დაბა-სოფლის ამბები.—რუსეთის ქრონიკა.—„ქართველ მოღვაწეებში“, ნარისა.—დრონი იცვალენ, ანუ მწარე ფიქრები, (სამი მონოლოგი), ნ. აზიანისა.—ალ. წულუკიძის სახსოვრათ, ლექსი გ. ბოკერიასი,—მცირე შენიშვნა, ფ. მახარაძისა—სამძიმრის დეპეშები და წერილები ალექსანდრე წულუკიძის გარდაცვალების გამო რედაქციის სახელობაზე.—ადესის ამბები.—გერმანიის საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიიდან.—ბურჟუა და პროლეტარი (თარგმანი).—საფრანგეთის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში, (დასასრული) ანისა.—დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა, კლარა ცეტკინასი. წერილები რედაქციის მიმართ.

## უკანასკნელი ამბების გამო.

ადამიანი სულ ბრმა უნდა იყოს, რომ ვერ შეამჩნიოს ის, რაც დღეს ჩვენ გარშემო ხდება. ძველმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ უკვე მოჭამა თავისი დრო, მაგრამ იგი ვერ შერიგებია იმ უბრალო და მარტივ აზრს, რომ რაც დროს გადასულია და სინამდვილეს აღარ შეესაბამება, იგი სამუდამოთ უნდა მოისპოს და პირისაგან ქვეყნისა აღიგავოს. აშკარაა, რომ ეს გარემოება იწვევს მეტათ სასტიკ და მეტათ საშიშარ ბრძოლას. ასეთი ბრძოლა წუთიერი მოვლენა როდია, იგი ხშირათ გრძელდება არა თუ წლობით, არამედ საუკუნოობითაც. მისი ისტორია მოწმობს, რომ იგი ხან სუსტდება და ხან ძლიერდება და საშიშარი ხდება. ეს არის მაშინ, როცა უკანასკნელი, გადამწყვეტი შეტაკების დრო დგება. ასეთი დრო მეტათ საშიშარი და თავზარ დამცემია, ეს არის შინაური, სამოქალაქო, ომის დრო, როცა საზოგადოების ერთი ნაწილი, ანუ დაჩაგრული კლასსი, ებრძვის თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, ადამიანურ უფლებების მოსაპოვებლათ, საზოგადოების მეორე ნაწილს, ანუ გაბატონებულ კლასებს. ვიმეორებთ, რომ ასეთი შინაური ბრძოლა შედარებით დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება, მხოლოთ როცა გამწვავდება, როცა არსებულ წესწყობილების პირობები ყოვლად აუტანელი ხდება საზოგადოების უდიდესი ნაწილისათვის, მაშინ იწყება აშკარა შეტაკება, რაც დროს გადასული წესწყობილების სრული დამარცხებით თავდება. ამას რევოლიუციას ქვია. ეს არ ხდება უმსხვერპლოთ, სისხლის დაუღვრელათ უტანჯველათ რას იზამთ, დღემდის ასე მიმდინარეობს კაცობრიობის ისტორიული და საზოგადოებრივი ცხოვრება.

მაგრამ რამდენათ საშიშარი და საზარელია რევოლიუციის ხანა, იმდენათ იგი დიდებული და აღმაფრთოვანებელია. თუ ერთი მხრით ამ დიდებულ და სანატრელ დროს ჩვენ ვხედავთ ფლიდობის და სიმდაბლის ყოვლად საზიზღარ მაგალითებს, მეორე მხრით ჩვენ თვალწინ გვიდგება უმაღლესი გმირობის საოცნებელი მაგალითები. მხოლოთ ასეთ დროს იჩენს საზოგადოება, თუ რაოდენი ცხოველმყოფელი და ბრწყინვალე ძალები ინახება მასში რევოლიუციონურ დროის მეორე უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ის გარემოება, რომ მაშინ თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩვენ ვხედავთ არსებული კანონების ფაქტიურ გაუქმებას და ხალხის გახშირებულ აჯანყებას მთავრობის წინააღმდეგ. ამას ზედ ერთვის საერთო მოუსვენრობა, შფოთი და აღელვება, ყოველივე ეს მეტათ აჩქარებით და შეუჩერებლათ ხდება, სანამ არსებული წესწყობილება ძირიან-ფესვიანათ არ დაინგრევა და მის ადგილს ახალი არ დაიჭერს.

ასეთ პირობებში ვცხოვრობთ დღეს ჩვენ. ცხოვრება დღითი-დღე, საათობით და წამობით, მწვავდება და აუტანელი ხდება. ერთ უბედურებას მეორე უბედურება მოდევს და ამას დასასრული არ უჩანს. საზოგადოებას გონია, რომ ახლათ მოვლენილი უბედურება უკანასკნელია, რომ ახალ უბედურებას იგი ველარ გაუძლებს, მაგრამ ჩანს, რომ ხალხის გაჭირვების ფიალა ჯერ კიდევ არ გავსებულა, ჩანს, რომ მას ჯერ კიდევ შეძლებია გაჭირვების და ტანჯვისატანა. და მართლაც, რას ვხედავთ ჩვენ ამ უკანასკნელ დროს? გაჭირვებას გაჭირვება ემატება, განსაცდელს—განსაცდელი. გაძლიერებული დაცვა იცვლება სამხედრო წესების შემოღებით, თითქო პირველი საკმარისი არ იყოს თავისი სიმკაცრით და სისასტიკით. მაგრამ გაქრა ის დრო, როცა ასეთი ზომებით შესაძლებელი იყო ხალხის დამშვიდება. დღეს კი მთელი ჯოჯოხეთის ძალებსაც კი აღარ ძალუძთ მოძრაობის ჩაქრობა და ხალხის დამშვიდება. მიმოიხედეთ გარშემო, გადაავლეთ თვალი რუსეთის უზარ მაზარ სივრცეს: ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე, დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე,—ყოველგან მოძრაობა, ყოველგან მღელვარება, შეტაკება, სისხლის ღვრა! მთელი რუსეთის მშრომელი ხალხი, საუკუნოების განმავლობაში მონობის რკინის ჯაჭვით შებორკილი, ტანჯული და გვემული, გაყვლეფილი და გაძარცული, ქალაქის და სოფლის პროლეტარიატი, დაიძრა და თავის მტანჯველებს და მძარცველებს აშკარათ, იარაღით ხელში, პასუხს თხოვს. განა შეიძლება მილიონ ხალხის გაჩუმება, მისი მოძრაობის შეჩერება? აშკარაა, რომ ეს შეუძლებელია. აშკარაა, რომ ჩვენშიაც უნდა მოხდეს ის, რაც სხვა ქვეყნებში მოხდა. და აი დადგა წამი, როცა ეს დიდებული საქმე უნდა შესრულდეს, როცა სამუდამოთ უნდა მოისპოს ჩვენში ბატონ-ყმური მონობის უკანასკნელი ნაშთი, დამყარდეს სრული თავისუფლება. ნუ გგონიათ, რომ სრული დემოკრატიული თავისუფლების მოსარჩლე ჩვენში იყოს სხვა ვინმე, გარდა პროლეტარიატისა. მხოლოთ იგი იბრძვის ნამდვილი თავისუფლების განსახორციელებლათ. ის ნახევრათ ლიბერალურ-დემოკრატიულ-ბურჟუაზიული ჯგუფები, რომლებიც დღეს ხალხის სახელით პოლიტიკურ რეფორმებს და ხალხის წარმომადგენლების მოწვევას თხოულობენ, ბოლოს და ბოლოს უფრო ღალატობენ ხალხის თავისუფლების საქმეს, ვინემ მას

ემსახურებიან. ისინი ყოველ წამს მზათ არიან ზავი შეკრან მშრომელი ხელხის მტერთან, ოღონდ კი მათი კერძო ინტერესები დაკმაყოფილებული იქნეს. როდის იყო, რომ ისინი ხალხს ქომაგობდენ, როდის იყო, რომ ისინი მუშა ხალხის ინტერესებს იცავდენ, რომ დღეს ჭეშმარიტებათ მივიღოთ მათი მაღალ-ფარდოვანი სიტყვები. საქმე სიტყვებში კი არ არის, არამედ მოქმედებაში. ჩვენ ვიცით, როგორ მოქმედებენ ბურჟუა-ლიბერალები და ბურჟუა-დემოკრატები. დიდი ხანი არ არის, რაც აშკარათ დაუმტკიცეს ქვეყნიერებას, რომ იმათ დემოკრატიულ მოთხოვნებში ნამდვილ დემოკრატიზმს ადგილი არა აქვს. მხოლოთ მუშათა პარტია იბრძვის ნამდვილ დემოკრატიულ რეფორმების განსახორციელებლათ და შეძლებს კიდევაც იმათ განხორციელებას. იგი იბრძვის ჭეშმარიტების და სამართლიანობის დასამყარებლათ, და ამიტომ ამაოა მის წინაამდეგ ზომების მიღება. ადრე იქნება თუ გვიან, იგი უეჭველათ დაძლევს ბნელს ძალებს და გამოვა გამარჯვებული. ამიტომ მას არ აღონებს, სასოწარკვეთილებაში არ აგდებს მის წინაამდეგ მიმართული ბნელი, სასტიკი და ველური ძალები....

## სამხედრო წესის შემოღება ჩვენში.

ერთ წელიწადზე მეტია, რაც რუსეთში მღელვარება დაიწყო. არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, რომ ხალხს დახავსებული, სულის შემხუთველი ბიუროკრატიული წესწყობილების ძირითადი ცვლილება არ მოეთხოვოს. ახალი ცხოვრება ძველ კალაპოტში აღარ ეტევა, ხალხი თხოულობს თავისუფლებას, კულტურულათ ცხოვრებას, მაგრამ დახეთ უბედურებას—თურმე დრო არ მოსულა თავისუფლათ ფიქრისა, ლაპარაკისა, წერისა, ბეჭდვისა, კრებებისა, კავშირებისა და ასე გასინჯეთ, თავისუფლათ ამოსუნთქვისა. სულის შეხუთვა თურმე საჭირო ყოფილა კაცობრიობის წინსვლისთვის, პროგრესისთვის. ჯერ თურმე ხალხი უნდა შეაწუხო, ტყავი გააძრო, გონება დაუხშო, სული ამოხადო და მხოლოთ მერე გადაუგდო ერთი ბეწვა კულტურის ნახინხალი. მშიარ, გაიძახის ხალხი, მეტი მოთმენა აღარ შემიძლია, მოგვეცით პური, რომელიც მრავლისაგან უმრავლესი აწყვია თქვენ ბეღლებში, ეგ ხომ ჩვენი მარჯვენით არის მოყვანილი, რას გვემართლებით, ნუ გვკლავთ შიმშილით!!. მოითმინეთ მოითმინეთო, უპასუხებენ ხალხს და თუ მოთმინება საზღვარს გადასცდა, პურის ნაცვლათ ქვეყნის მარჩენალ ხალხს ქვებით უმასპინძლდებიან. ხალხის მისწრაფებას წინ ეღობებიან, ათას გვარი დამაბრკოლებელი საშუალებით ცდილობენ შეაჩერონ მისი ლტოლვილება, სურვილი ყოველივე აპეკის თავიდან აცილებისა, თავისუფლათ ცხოვრებისა, თვისი საქმეების თითონვე მოგვარებისა... თითქმის მთელ რუსეთში სამხედრო წესია შემოღებული, რომელიც აღელვებული ხალხის დასამშვიდებლათ არის ხმარებული. რადგანაც ეს წესი არც კავკასიას აცდა, ამისათვის საჭიროთ მიგვაჩნია ამ წესის თვისება და ხასიათი მოკლეთ გავაცნოთ ჩვენ მკითხველებს. სამხედრო წესის დამახასიათებელი თვისება მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოების მართვა-გამგეობა სამოქალაქო მთავრობის ხელიდან სამხედრო მთავრობის ხელში გადადის. ეს ახალი დროებითი მთავრობა აღჭურვილია განუსაზღვრელი უფლებებით. მას აქვს უფლება ყოველივე სახალხო, საზოგადოებრივი და კერძო კრებების აკრძალვისა, ყოველივე სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულების დახურვისა, პერიოდიული გამოცემების შეჩერებისა, ყველა სასწავლებლების დახურვისა, კერძო პირების, გაუსამართლებლათ, იმპერიის შუაგულ გუბერნიებში გადასახლებისა, თითქმის ყველა სახელმწიფო სამსახურში მყოფ მოხელეების, გაუსამართლებლათ, სამსახურიდან დათხოვნისა. ადგილობრივ პოლიციას და ჟანდარმთა დაწესებულების უფროსებს და მათ თანაშემწეთ უფლება აქვთ ყველა საეჭვო პირების დაპატიმრებისა, ყოველ ჟამსა და დროს, განურჩევლათ, ყველა სახლების გაჩხრეკასა და საეჭვო პირის ყოველ გვარ ქონებაზე არესტის დადებისა... ამ ნაირათ, როგორც სხვა რუსეთის ქალაქებში, ისე ჩვენშიაც, გაძლიერებული წესის ნაცვლათ, სამხედრო წესი შემოიღეს. რა განსხვავებაა ამ ორ წესს შორის? გაძლიერებული წესის დებულების ძალით, ზოგიერთი განსაკუთრებული უფლება რჩება ისევ ისე სამოქალაქო მთავრობის ხელში. სამხედრო წესის ძალით კი, სახელმწიფოს წესწყობილების დაცვის საქმე სამოქალაქო მთავრობის ხელიდან მთლათ სამხედრო მთავრობის ხელში გადადის. იმ ადგილებში, სადაც სამხედრო წესია შემოღებული, ყველა უფლება და მოვალეობანი, რომელნიც სახელმწიფოს წესწყობილების დაცვას შეეხებიან, ეძლევა ადგილობრივ გენერალ-გუბერნატორს ანა და მთავარ-მართებელს, რომელიც ადგილობრივ ჯარების უფროსათ არის დანიშნული. იმ ადგილებში, სადაც არც გენერალ-გუბერნატორის და არც მთავარმართებლის თანამდებობა არ არსებობს ზემოაღნიშნული უფლებანი ენიჭება სამხედრო ოლქის უფროსს. ხალხის დასამშვიდებლათ შემოღებული ზემოაღნიშნული სასტიკი ზომები ამიერ-კავკასიაში არსებობს უკვე ხუთ ქალაქში, სამ მაზრაში და ერთ გუბერნიაში.

**სან—დონი,**

## მთავრობის განკარგულება.

უმაღლესი ბრძანებით, ამა ივნისის 27-ს, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და საჭიროთ სცნო;

1) ქალაქ ტფილისსა და თფილისის მაზრაში შემოღებულ იქნას საომარ დროის წესები, თანახმად კანონთა კრებ. მე-II ტ. 23 მუხლის დამატებისა და გუბერნ. საზოგ. წესდებისა 1892 წ. გამოცემისა;

2) მომენიჭოს მე ის განსაკუთრებული სამხედრო და სამოქალაქო უფლება-მოვალეობანი, რომელნიც ეკისრება სამხედრო მმართველთ სახელმწიფო წეს-რიგის დაცვისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დამყარებისათვის იმ ადგილებში, სადაც საომარ დროის წესებია შემოღებული და

3) ნება მომეცეს მე გადავცე ჩემი უფლება-მონდობილობანი, რომელნიც მენიჭება ზემოხსენებულ წესების მე-19 მუხლის თანახმათ, განსაკუთრებით ამისთვის არჩეულ პირს, იმ პირობით-კი, რომ მე უფლებას ვიტოვებ ვავაუქმო, როცა საჭირო იქნება, მისი განკარგულებანი, სახელმწიფო წეს-რიგის დაცვის შესახებ გამოცემულნი.

ვაცხადებ ამა უმაღლეს ნებას საყოველთაოთ და წინადადებას ვაძლევ კავკასსიის არმიის 1-ლ კორპუსის უფროსს გენ.-ლეიტენანტს იაცკევიჩს, დაუყოვნებლივ შეუდგეს თფილისისა და თფილისის მაზრის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღსრულებას“.

მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ნამესტნიკი კავკასიაში გენ.-ადიუტანტი **გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.**

## ოფიციალური ცნობა

გასულ ორ კვირის განმავლობაში თფილისში რევოლიუციონურმა პარტიებმა ძლიერი სიბეჯითე გამოიჩინეს და თავიანთი მოქმედება მოიმარჯვეს ადგილობრივ ეკონომიურ ცხოვრების მსვლელობის შესაფერხებლათ და აშკარა ბრძოლა

დაუწყეს წესიერების მომხრეთ, როგორც კერძო პირებში, ისე ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და მკვიდრთა დასაცველათ გამოწვეულ ჯარს. 13 ივნისს თფილისის რკინის გზის სახელოსნოებისა და დეპოს რუს მუშების ერის ჯაუფს, რომელიც გაცარცვის წინააღმდეგი იყო, კრება ჰქონდა; იმავე დღეს საღამოს მოჰკლეს ამ პარტიის ორი მეთაური, მესამის კი მოკვლა განიზრახეს, მაგრამ ვერ მოიყვანეს სისრულეში განზრახვა. სავაგონე საამქროს ბრიგადირი ივანე რაკი ქუჩაში დაჰკლეს, სამჭედლო საამქროს ფეჩის მაკეთებელი ნიკოლოზ სვეანევი მის ბინაზე მოჰკლეს ტყვიით. როცა მეორე დღეს, რკინის გზის სახელოსნოებთან შეიკრიბა ამ ამბით აღელვებული ბრბო, ათას კაცისაგან შემდგარი და სჯა-ბაასი გამართა, როგორ მოესპო ამნაირი ბოროტ-მოქმედებანი, მას რევოლვერები დაუშინეს სახელოსნოში დარჩენილმა მუშებმა. ამან აიძულა რუსი მუშები ქალაქ გარეთ გასულიყვნენ მოსალაპარაკებლათ. როცა ბრბო ერთს საჩაისთან მიდიოდა სამმა მკვიდრთაგანმა მუშამ ქვების სროლა დაუწყო მიმავალთ, შემდეგ ერთი მათგანი შეხტა სკამზე, დაიჭირა ხელში პროკლამაცია და რევოლიუციონურ შინაარსის სიტყვის წარმოთქმა იწყო. ბრბო მივარდა ამ პირთ და დაუწყო ცემა. მაგრამ რკინის გზის ჟანდარმთა პოლიციამ გზა გადუღობა მას და დაატუსაღა ისინი. მუშები დამშვიდენ და უარი განაცხადეს თვით გასამართლებაზე იმის შემდეგ, როცა პოლიცმეისტერმა სიტყვა მისცა მათ, რომ იგინი ბეჯითათ იქნებიან დაცული და შეუდგენ იმაზე ლაპარაკს თუ რა ზომები იხმარონ მოქმედების თავისუფლების დასაცველათ. იმავე 16 ივნისს, ასე საღამოს 10 საათზე, თფილისის იმ უბანში, სადაც მუშები ცხოვრობენ, თფილისის პოლიცმეისტერს დუქნიდან რევოლვერი ესროლეს მაგრამ, საბედნიეროთ, ვერ მოარტყეს. დაუყოვნებლივ გაჩნდა იმ ადგილას კაზაკთა პატრული და დაატუსაღა ორი მოსამსახურე დუქნისა. ერთის საათის შემდეგ იქვე ქალაქის განაპირას დაეცენ ქვეით ჯარის კაცთა პატრულს; დაიჭირეს ხუთი სომეხი, ერთი რუსი და თორმეტი სხვა ეროვნებისანი. მეორე დღეს დილით, 16 ივნისს, ხელ-ახლა დაეცენ კონსერვატორ მუშათა პარტიის მესამე ხელმძღვანელთაგან ბოროშჩევს, მაგრამ ამაოთ. ბოროტ-განმზრახველი უკანასკნელმა დაჰრა ფეხში და ძლიერ იქნა ნაცემი მის ამხანაგების მიერ. ადგილობრივ პოლიციის განკარგულებით რკინის გზის სახელოსნოებს ჯარი დაუყენეს მცველათ. 20-ს თფილისში დაიწყო საერთო გაფიცვა. გაიფიცენ სახელოსნოების ყველა მუშები 600 რუს-მუშას გარდა. გაფიცულთ შეუერთდენ კერძო სახელოსნოებისა და სტამბების მუშებიც. ყრილობებზე და პროკლამაციებით ითხოვდენ, კაზაკების დათხოვნას, ყველგან პატრულების მოხსნას და მილიციის დაარსებას. 21 ივნისს რუსს მუშებსაც შეეშინდათ მოკვლისა და იმათაც შეწყვიტეს მუშაობა. გაფიცულთ რიცხვს ტრამვაიზე მომუშავენიც მიემატენ. 22 ივნისს უფრო გაძლიერდა გაფიცვა. გაიფიცენ ქალაქის გამგეობის მოსამსახურენი, ქალაქის წყლისა და ნავთის მილების მუშები. ქალაქი გაუნათებელი დარჩა. დაიხურა ყველა ბაზარი. მუშაობდენ მხოლოთ მეფურნეები და მეპურეები. რუსი მუშები მხოლოთ ნახევარი დღე არ მუშაობდენ, ჩქარა მუშაობა დაიწყო 800 კაცმა, მეორე დღეს კი მათი რიცხვი ათასამდე ავიდა. რუსებთან ერთათ მუშაობას არ ანებებდენ თავს თათრებიც, რომლებიც ჩვეულებრივათ ვაჭრობდენ. 23 ივნისს კაზაკთა პოლკის მეექვსე სოტნის სადგომთან, საღამოს ლოცვათ რომ ემზადებოდენ, მემუსიკეთა კამანდას ხალხიდან ბომბა ესროლეს, რომელიც საბედნიეროთ აღარ გასქდა. მსროლელი ვერ აღმოაჩინეს. მეორე დღეს 24 ივნისს, თფილისის სხვა და სხვა ადგილებში სამ ადგილას განიზრახეს ბომბით დახოცვა. ერთი ასე 9 საათზე, გაისროლეს თათრის მოედანზე, რომელმაც იფეთქა და მძიმეთ დასჭრა პოლიციის ბოქაული და უბნის ზედამხედველი, სასიკვდილოთ დაჰრა ვაჭარი სომეხი და მსუბუქათ ორი გამვლელი. იმავე დროს ერთის სახლის ახლო მდგომ კაზაკთა პატრულს ესროლეს ბომბა სახურავიდან და მოკლეს ორი კაზაკი და დაჭრეს ერთი მეეზოვე და გამვლელი მოქალაქე. სახლის სახურავზე დაიჭირეს მასში მცხოვრებლები, რომელნიც გაურბოდენ კაზაკებსა და პოლიციას. მესამე ბომბა დანიშნული იყო კაზაკთა რაზმისთვის და გადაისროლეს კლდიდან ქალაქის განაპირას, მაგრამ არ გამსკდარა. 25 ივნისს ბოროტ-გამზრახველების ასეთი ანარქიული მოქმედება იმით დაბოლოვდა, რომ მოკლეს სამი და დასჭრეს 11 გამვლელი. ამ საღამოს, როცა ქალაქი ბნელით იყო მოცული, საერთო გაფიცვის გამო, ოლგინის ქუჩის ბოლოში, როცა რამდენიმე ფაიტონმა ჩაიარა, ერთ მათგანიდან, რომელიც გადახურული იყო, გადაისროლეს ლითონის ბომბა. აფეთქებამ მოკლა მეეზოვე, გოროდოვოი და გამვლელი თათარი, მძიმეთ დაიჭრენ კბილის ექიმი ტეხნიკი, მეორე მეეზოვე და ერთიც ქართველი, მსუბუქათ ორი მანდილოსანი ბავშვებით და 4 სხვა გამვლელი. ფაიტონი დამნაშავითურთ სწრაფათ მიიმალა ბნელში. იმავე დღეს, როცა უბნის ზედამხედველი ერთს სომეხს იჭერდა, უკანასკნელმა რევოლვერით გული გაუხვრიტა ზედამხედველს ილიინს. იქვე მდგომმა კაზაკმა ხმლის დარტყმით გააგორა დამნაშავე, რამაც არეულობა და სროლა ასტეხა იმ უბანში მცხოვრებთა და კაზაკებს შორის. თანხმათ მოხსენებისა, ამ შეტაკების შემდეგ, ქალაქის საავათმყოფოში მიიყვანეს თოფით დაჭრილი ერთი სომეხი და ერთიც ქალი. დაშავდა, თუ არა კიდევ ვინმე, ვერ გამოირკვა. 24 ივნისს ბოროტ-გამზრახველთა მისწრაფებამ განადგურებისადმი ახალი მიმართულება მიიღო. შეეცადენ ცეცხლი წაეკიდებიათ ნავთის საწყობისათვის, რომელიც ქალაქის ცენტრშია, მაგრამ პოლიციამ თავის დროზე მიუსწრო და დაატუსაღა დამნაშავენი. 26 ივნისს, პოლიციის სიფხიზლის წყალობით, დღის 3 საათზე ქუჩაში დაიჭირეს ქართველი ქალი კალათით, რომელშიაც სამი გატენილი ბომბა იყო. იმავ დღეს დაჭერილ იქნა 7 კაცი, რომელნიც ბომბის და მისს ნაწილების კეთებაში იქნენ ბრალდებულნი. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ამგვარათ მომზადებულ ნაწილებისაგან ბომბებს აკეთებენ ერთს აგარაკზე, რომელიც იმყოფება თფილისის მაზრაში, მცხეთასა და ავჭალას შორის. ამიტომ 28 ივნისს, დაბინდების შემდეგ ყაზახთა კამანდა, ჟანდარმების როტმისტრის უფროსობით, ჩუმათ შემოერტყა ამ შენობას, შევიდა შიგ და დაიჭირა მთელი ლაბორატორია იმ ბომბების კონსტრუქციისა, რომელთაც გასულ დღეებში ისროდენ თფილისში. აგარაკზე ნაპოვნ მასალათა რიცხვში აღმოჩნდა 24 ჯერ კიდევ სრულიად არ დასრულებული ბომბა, 4 დინამიტით გატენილი, რამდენიმე ფუთი დინამიტი, კონა-კონად შეკრული (500 კონა) აგრეთვე ნიტროგლიცერინი, შუშა გრვინავი ვერცხლის წყლით და ბიკფორდის ზორტები. იქვე დაიჭირეს სამი კაცი რომელთაც უარი თქვეს თავიანთ ვინაობის დასახელობაზე, მათ რიცხვში ლაბორანტი, რომელსაც უნდოდა აეფეთქებინა იქაურობა, მაგრამ ვერ მოახერხა, უბნის ზედამხედველის თავგანწირვის წყალობით: როცა ჩხრეკდენ იქაურობას ბაღებიდან გაისმოდა რევოლვერებისა და თოფების სროლა, რაზედაც კაზაკებმაც სროლითვე უპასუხეს და ბაღის დათვალიერებისას ჩირგვებში იპოვნეს უცნობი კაცი მძიმეთ დაჭრილი. დაატუსაღეს სულ თორმეტი კაცი ამ საქმეში მონაწილე, რომელთაგან მთავარმა მომქმედმა, ბომბების კეთების ხელმძღვა-

ნელმა თავი ჩამოიხრჩო 29 ივნისს ღამით ციხეში საკუთარი ქამრით. რადგანაც საერთოთ მდგომარეობა სამიში იყო, ზემოხსენებულ ტერორისტულ ხასიათის გამო, კავკასიის ნამესტნიკმა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვმა უქვეშევრდომილესათ ალძრა შუამდგომლობა, შემოღებულ ყოფილიყო თფილისსა და მისს მაზრაში სამხედრო დებულება, რაც შეწყნარებულ იქნა 27 მაისს. (Пр. В.).

## სხვა და სხვა ამბები.

19 ივნისს თფილისში ხმა გავრცელდა, ხვალიდან საერთო გაფიცვა დაიწყებაო, და მთელი ქალაქი დაფაცურდა. მაღაზიებში და დუქნებში ვაჭრობა გაჩაღდა. ვისაც შეეძლო თითო კვირის სანოვაგეს ყიდულობდა, შიმშილით არ დავიხოცოთო. ასე გეგონებოდა, მთელი ქალაქი დიდი ხნის სამგზავროთ ემზადება და საგზალს ყიდულობსო. 20 ივნისს გაიფიცენ ყველა სტამბის ასოთ ამწყობნი, რკინის გზის დეპოს და ყველა კერძო ფაბრიკა-ზავოდების მუშები. საღამოს 5 საათზე ელექტრონის ტრამვაი გაიფიცა. გაიფიცენ აგრეთვე კავკასიის ნამესტნიკის სტამბის მუშებიც. 21 ივნისს მაღაზიები და დუქნები დაიკეტა, მეეტლეების რიცხვი განახევრდა ქუჩებზე და მთელი ქალაქი თითქმის დაყრუვდა. ამ დღეს გაფიცვას ქალაქის თვით მმართველობაში მოსამსახურეებიც შეუერთდენ და დაღამდა თუ არა, ქუჩებზე სიბნელე გამეფდა; არსად ფარანი არ ანთებულა. გაფიცვამ 28 ივნისამდე გასტანა ისე, რომ არსად არ დარღვეულა. ამავე დღეს ქალაქში და თფილისის მაზრაში სამხედრო წესები გამოცხადდა. ჯერ კიდევ გაფიცვის მესამე დღეს გააძლიერეს ქალაქის პოლიცია და თითქმის ყველა ქუჩაზე ჩხრეკდენ გამვლელებს. ახლა ქალაქის ყველა ნაწილებში პატრულები დადიან. კაზაკები და ჯარის კაცები ქუჩებზე თითო თითოთ, სიგრძეზე გამწკრივებული დადიან, რადგან პოლიციელებს და კაზაკებს რამოდენიმეჯერ ასაფეთქი ყუმბარა ესროლეს.

— გაფიცვის გამო 9 დღის განმავლობაში არც ერთი გაზეთი არ გამოსულა, ამავე მიზეზით კვირას, 26 ივნისს „მოგზაურის“ ნომერი აღარ გამოვიდა.

— გაფიცვა თფილისიდან სხვა ქალაქებშიაც გადავიდა. სხვათა შორის თელავშიაც ძალიან მაგარი გაფიცვა ყოფილიყო. სამი დღის განმავლობაში ქალაქში შავი პურის გარდა არაფერი იშოვებოდა თურმე.

— თელავიდან გვატყობინებენ: „დღეს, 26 თიბათვეს, ეკლესიის გალავანში, მრავალი ხალხის თანდასწრებით გადახდილ იქნა პანაშვიდი ძვირფასი ალავერდის—საშა წულუკიძის გარდაცვალების გამო. შემდეგ რამოდენიმე სიტყვა წარმოთქვეს.

— ბათუმიდან დეპეშით გადმოგვცემენ: 5 დღის საერთო გაფიცვა დამთავრდა. გაფიცვის მოთავეთა განკარგულებით ყველა მაღაზიები გაიღო, გამოვიდენ მეეტლეები, მცხოვრებლები აღელვებულია.

— ვოლკოვიშკში, მსხვილ მემამულეს გავროვსკის მუდმივი მუშები გაიფიცნენ. წესიერება ჯერ არ დაურღვევიათ.

— ზახმუტში ნურვინის მადანზე მუშები გაიფიცენ.

— კრუპკაში სოფლის მუშები გაიფიცენ. წესიერება ჯერ არ დარღვეულა.

— ბელოსტოკში ყველა ქარხნების მუშები გაიფიცენ.

— ტომსკში რკინის გზაზე მომუშავე 600 კაცმა კრება მოახდინა. არეულობის თავიდან ასაცილებლათ ზომებია მიღებული.

— უკანასკნელ დროს პოდოლის გუბერნიაში არეულობა ცხრა მაზრას მოედო. ახლა არეულობა თითქმის აღარსად არის.

— კავკავში 18 ივნისს, კაზაკებს იარაღის წასართმევათ ჩეჩნები დაეცენ. ჩეჩნებმა ორი კაზაკი მოკლეს და ერთიც მძიმეთ დასჭრეს. კაზაკებმა მხოლოთ ერთი ჩეჩენი დასჭრეს. ჩეჩნების მილიციონრები კაზაკებს არ მიხმარებიათ.

— ლოძიდან მოსულმა აგიტატორებმა აგიტაცია განაახლეს «ბუნდის» ორგანიზაციის წარმომადგენლების დახმარებით, შუა-დღისას დემონსტრაცია გაიმართა. ხალხი წითელის ბაირაღით დადიოდა ქუჩებში და რევოლვერებს ისროდა. ექვს საათზე ხალხი დაიშალა და საღამოს რვა საათზე დემონსტრაცია ისევ განახლდა.

— როსტოვგუევების ჩაის საწყობში მივიდა ერთი ახალგაზრდა კაცი და რევოლუციონურ კომიტეტის სასარგებლოთ ათას ხუთასი თუმანი მოითხოვა. როდესაც ახალგაზრდა კაცი პოლიციამ დააპატიმრა, მან თავი მოიწამლა. ახალგაზრდა კაცი ციხის საავადმყოფოში დააწვინეს.

— მარიამპოლის მაზრაში გლეხებმა ერთი საეროზო დარაჯი მოჰკლეს და ერთიც დასჭრეს.

— 27 ივნისს სიმფეროპოლის საპყრობილედან სამი პატიმარი გაიქცა. წესიერების აღსადგენად ჯარია დაბარებული.

— ორგეევის მაზრაში არეულობა დაიწყო.

— როგორც „კავკაზის“ ოფიციალურ ნაწილშია გამოცხადებული, ბათუმის სამხედრო გუბერნატორათ დროებით დაინიშნა გენერალი ფონ-პარკაუ.

— როგორც „რუსეთის სააგენტოს“ ცნობებიდან სჩანს, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში საეროზო დაწესებულებანი შემოღებული იქნება შემოდგომაზე.

— დაინიშნენ: კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწის, პოლიციის უფროსის, კანცელარიის გამგეთ—პოლიციის დეპარტამენტის საქმის-მწარმოებლის თანაშემწე გუროვიჩი ამავე კანცელარიის საინსპექციო ნაწილის გამგეთ—ლიური; ამავე კანცელარიაში საქმის მწარმოებლათ გადმოიყვანეს: მოსკოვში სახელმწიფო მშვიდობიანოვის და წეს-რიგის დამცველ განყოფილების მოსამსახურე ვინოგრადოვი და პოლიციის დეპარტამენტის მოხელე ტრუტკოვი.

— ქუთაისში 25 ივნისს დილიდან დაიწყო გაფიცვა. დაკეტილია ყველა სავაჭრო დაწესებულება, ხორცისა და მწვანეულობის დუქნები და საკონდიტეროები. მეპურეებს შეიარაღებული დარაჯები მიუყენეს და ისე აყიდვინებენ პურს. მეეტლეები და მედროგეები არ მუშაობენ. სტამბები ქარხნები და რკინის გზის სავაჭრო სადგური ვერ მუშაობენ, სამგზავრო მატარებლებიც ვერ გადიოდენ. ქუჩებში ყაზახები და პოლიციელები დადიოდენ. წეს-რიგი არ დარღვეულა.

— კავკასიის ნამესტნიკის ბრძანებით, ტფილისის გუბერნიაში იმ ზარალის გამოსარკვევათ, რომელიც მოჰყვა გლეხთა მოძრაობას, უნდა შესდგეს სამაზრო კომისიები. კომისიების თავმჯდომარეთ იქნებიან მაზრის თავად-აზნაურთა მარშლები, წევრებათ მაზრის უფროსები, მომრიგებელი შუამავლები, გადასახადთა ინსპექტორები, საპატიო მომრიგებელი მოსამართლეები და სოფლის საზოგადოების წარმომადგენელნი, თითოდან ორი მაინც.

— როგორც „ტიფ. ლ.“ ი გადმოგვცემს, 28 ივნისს

რკინის გზით თფილისში მოსულა ორი ძალიან მძიმე ყუთი. ჟანდარმის აფიცერს ეჭვი შეჰპარვია ამ ყუთებზე და როდესაც მეორე დღეს ყუთების მიმღები, ვის სახელზედაც გამოგზავნილი იყო ყუთები, ავლაბრელი გარეგინ ტარახჩაევი მისულა, გაუხსნიათ და შიგ 4000 პატრონა აღმოჩენილა.

— 27, 28 და 29 ივნისს თელავის ბაზარმა, ყველა ხელობის ხელოსანმა თანაგრძნობა და სოლიდარობა გამოუცხადეს თფილისს მით, რომ ბაზარმა აღარ ივაჭრა, ხელოსანთ აღარ იმუშავეს, სამი დღეა დაკეტილია ყველაფერი, გარდა მეპურის დუქნებისა. 28 და 29-ს სოფლებიდანაც აღარაფერი შემოუტანიათ, რადგანაც აუკრძალეს სანოვაგის შემოტანა. მცხოვრებნი თვით მიდიან სოფლებში და იქ ყიდულობენ ბოსტნეულობას, კვერცხს და ქათამს. სოფლად პური აკლიათ, თელავში ნაყიდ პურით მიდიან იოლათ. ხალხი იკრიბება და სიამოვნებით ისმენს ნაამბობს. ყველას თუ არა, უმრავლესობას მეტი სიცოცხლე ატყვია. (ცნ. ფურც-)

— როგორც გორის მაზრის სოფ. ახალ-ქალაქიდან გაზ. ცნობ. ფურცელს ატყობინებენ, ამას წინათ ადგილობრივ გლეხებს შეტაკება მოსვლიათ თავ. არჩილ თარხნიშვილის მუშებთან. გლეხებს მოუთხოვნიათ მუშებისათვის, ხელი აეღოთ მუშაობაზე. შეტაკების დროს მომკვდარა ერთი კაცი. თვით თავ. თარხნიშვილი სოფელში არ არის თურმე.

— მარგანეცის ვაგონების დამტვირთველ-გადმომტვირთველ მუშებს 24 ივნისს უარი უთქვამთ მუშაობაზე და წარუდგენიათ მოთხოვნილებანი. მუშები თხოულობენ ფასის მომატებას და სამუშაო დღის მოკლებას. ეს პირობები ამიერ-კავკასიის რკინის გზამ ხელ საყრელათ ვერ იცნო და ბაქოდან გამოიწერა თათარი მუშები. ამ დღეებში მუშებს მოელიან და ძველებს დაითხოვენ. მანამ-კი ტენგინის პოლკის სალდათები ტვირთავენ ვაგონებს.

— მოსკოვის გრადონაჩალნიკის მკვლელი ციმბირელია, პეტერბურგში მასწავლებლათ ნამყოფი. მან განაცხადა, სოციალისტ-რევოლიუციონერთა მებრძოლ ორგანიზაციას ვეკუთვნი, რომელმაც სიკვდილი გადაუწყვიტა შუვალოვსო.

— ჩვენ მივიღეთ კარლ მარქსის ცნობილი ბრაშიურა: **ვაჭრობის თავისუფლება“**, ქართულ ენაზე ნათარგმნი და დასტამბული, გამოცემა ბ. კილაძის და გ, თავართქილაძის წიგნის მაღაზიისა ბათუმში. ბროშიურა ადვილათ გასაგები ენით არის გადათარგმნილი. ღირს 10 კაპ.

—

ოფიციალური ცნობა თფილისში მომხდარ ამბებისა 20 ივნისიდან 28-მდე. 20 ივნისიდან თფილისში დაიწყო საერთო გაფიცვა, რომელმაც 28-მდე გასტანა.

23, 24 და 25 ივნისს თფილისის სხვა და სხვა ნაწილში ბოროტმოქმედთაგან გადაგდებულ იქნა 5 ყუმბარა; ზოგი მათგანი გასკდა და რამდენიმე კაცი მოკლულ ან დაჭრილ იქნა.

23 ივნისა, საღამოს მეცხრე საათზე, უცნობ ბოროტმოქმედმა საარტილერიო მოედანზე გადააგდო პეტარდა, რომელიც აფეთქდა და მსუბუქათ დაშავა ორი ბავშვი. ხმაურობაზე თავიანთ ბინიდან გამოვარდენ პოლტავის პოლკის ყაზახ-რუსები,რომელთაც ვიღაცამ მაშინვე ესროლა ყუმბარა; მაგრამ ყუმბარა ტალახში ჩავარდა და არ გასკდა. მეორე დღეს, საღამოს ექვსნახევარ საათზე, ყუმბარა გადააგდეს „სალდატსკი ბაზარ“-ზე, გრაფის ქუჩის კუთხეზე, ცარიელ სახლის მეორე სართულიდან. ყუმბარა გასკდა და მოხვდა იქვე დარაჯათ მდგომ ყაზახებს; ერთი მათგანი ლუკმა-ლუკმა დაგლიჯა, მეორე (ნიკ. ბელიხ) მძიმეთ იქნა დაჭრილი თავსა, ზურგსა და ფეხებში; ეს ყაზახი იმავე ღამეს გარდაიცვალა მიხეილის საავათმყოფოში. გარდა ამისა ყუმბარის ნატვრევებისგან დაჭრილ იქნენ მძიმეთ—მუშა ბაბა თემრაზოვი და მსუბუქათ—მეეზოეენი ვასილ სალამატინი და პრაკოფი მიხეევი; უკანასკნელი მეორე დღესვე გამოვიდა საავათმყოფოდან, ხოლო პირველნი ისევ ავათ არიან. იქვე მოკლულ იქნა ყუმბარისაგან ერთი ყაზახის ცხენი. გადარჩენილმა ყაზახებმა მაშინვე სროლა დაუწყეს ბოროტმომქმედთ, რომელნიც იმ სახლის სახურავზე ავარდენ, რათა მახლობელ ეზოში გადამხტარიყვენ და ისე დამალულიყვენ; ბოროტმომქმედნი პოლიციამ დაატუსაღა.

იმავე საღამოს, რვა საათზე, ყუმბარა ისროლეს თათრების მოედანზე, ვორონცოვის ქუჩის კუთხეზე, სადაც იდგენ: მე-6 ნაწილის ბოქაული გლებოვი, მისი თანაშემწე მორგაევსკი, უბნის ზედამხედველი ჩიკვაიძე და პოლიციელი. ყუმბარისაგან დაჭრილ იქნა არა საშიშრად ბოქაული გლებოვი (უკვე რჩება კიდეც); მისი თანაშემწე მხოლოთ დაშავდა; უბნის ზედამხედველი ჩიკვაიძე მძიმეთ არის დაჭრილი ფეხში (პეტერბ. სააგენტოს ცნობა, ვითომ ჩიკვაიძე გარდაიცვალა კიდეც, ტყუილია); პოლიციელი უვნებლათ გადარჩა. აქვე უცხო პირებიც დაზარალდენ. ვაჭარს ნავთიკოვს, რომელიც კრწანისის ბაღებიდან მოდიოდა ომნიბუსით, ყუმბარის ნამტვრევმა თეძო დაუმტვრია. იმავე საღამოს, საავათმყოფოში, ამ საბრალოს ძვლის 25 ნატეხი ამოუღეს ჭრილობიდან; მისი მორჩენა საეჭვოა. ომნიბუსის დანარჩენი პასაჟირები უვნებლათ გადარჩენ. მსუბუქათ დაჭრილ იქნა იქვე გზათ მიმავალი ხარაზი მიხ. ტოროსიანცი, ხოლო მეორე—სერგო კიკნაძე—მძიმეთ დაიჭრა მუხლის თავში. იქვე ახლოს იპოვეს ქარვასლაში დამალული ყმაწვილი პეტროს შახბატოვი, რომელიც ყუმბარისაგან დაჭრილიყო მძიმეთ; ყმაწვილი იმავე ღამეს გარდაიცვალა საავათმყოფოში.

იმავე საღამოს მესამე ყუმბარა გაისროლეს ავლაბარში, მაგრამ არ გამსკდარა.

შაბათს, 25 ივნისს, საღამოს $6^1/_2$ საათზე, ავლაბარშივე, კახეთის მოედანზე, უცნობმა ბოროტმომქმედმა ორჯელ ესროლა რევოლვერი მე-7 ნაწილის უბნის ზედამხედველს ილიინს; ზედამხედველი მძიმეთ არის დაჭრილი ზურგში. ყაზახი დაეწია ბოროტ მომქმედს და ხმლით თავი მოსჭრა. როცა ეს დაინახეს ავლაბრის მცხოვრებლებმა ყაზახებს რევოლვერი დაუშინეს სახლის სახურავებიდან; ყაზახებმა თავის მხრით თოფები დაუშინეს, გაისროლეს 23-ჯერ .ამ სროლის დროს, სხვათა შორის, მოკლულ იქნა ლაზარევის ქუჩაზე, სახლის ბალკონზე გამოსული ახალგაზდა ქალი ო. დ. იშხანოვისა, რომელმაც ეხლახან დაასრულა საექიმო კურსები და სახელმწიფო ეგზამენისათვის ემზადებოდა. რამდენიმე კაციც დაჭრილ იქნა მსუბუქათ, ხოლო ქ.-ბ. ჯაფარიძისა და ბ. გოგინაშვილი მძიმეთ დაიჭრენ და მიხეილის საავათმყოფოში გაიგზავნენ; პირველს ტყვია მუცელში მოხვდა, მეორეს თეძოში. იმავე საღამოს ყუმბარა გაისროლეს ოლგას ქუჩაზე, „მოსკოვსკი ნომრების“ ახლო; დაჭრილ იქნენ: სიმონ ალახვერბეკოვი—მარჯვენა ფეხში, ასლან მახმუდ-ოღლი—თავში (26 ივნისს გარდაიცვალა), მეეზოვე ვასილ ანტონოვი (იმავე დღეს გარდაიცვალა), პავლე ლებედინი—მარცხენა ხელში, ავგუსტინა ოქონოვი—მარცხენა ფეხში, ოქონოვი—მარჯვენა მხარში, პატარა ქალი ოქონოვისა—ზურგში, ნიკ. პოპოვი—ზურგში, და დავით გილაშვილი—მუცელსა და მხარში. გარდა ამისა ბევრი დაშავდა, მაგრამ საავათმყოფოში არ გაუგზავნიათ და თავიანთ სახლებში წავიდენ.

26 ივნისს, პოლიციამ აღმოაჩინა ყუმბარების საკეთებელი და საწყობი ადგილი ქალაქის მე-10 ნაწილში. გარდა ამისა ამავე დღეს დაპატიმრებულ იქნა ქალიშვილი, რომელსაც სამი ყუმბარა უპოვეს.

—

18 ივნისს, სოფელ კეხის ჯვარში გარდაიცვალა **სოფიო ირაკლის ასული ციციშვილი.** განსვენებული ჩვენ ცხოვრებაში ცნობილი იყო, როგორც პატიოსანი და დაუღალავი საზოგადო მოღვაწე. ის იყო მუდმივი თანამშრომელი ჟურნალ „ჯეჯილისა“, თანამშრომლობდა გაზეთ „კვალში“, ხოლო უკანასკნელ დროს გაზეთ „ივერიაში“. გულ წრფელათ და ენერგიულათ ემსახურებოდა აგრეთვე ქართულ სახალხო თეატრს, სადაც არა ერთხელ და ორჯერ დაუტკბია თავის ნიჭიერი და მოხდენილი თამაშით თბილისის მუშები. საუკუნოთ იყოს ხსენება შენი პატიოსანო და უანგარო მუშაკო.

## დაბა—სოფლის ამბები.

**ეკატერინოსლავი** (23 ივნისი). ეს მეხუთე დღეა, რაც აქაურს მცხოვრებლებს დაუდგათ მოუსვენარი ცხოვრება: გაიფიცენ მე-

პურეები და მთელი ქალაქის მცხოვრებლები უპუროთ დარჩენ, არსად პური აღარ იშოვება. ამავე დროს, გაიგეს თუ არა ადესაში მომხდარი ამბები, ჯავშნიან გემის „პოტიომკინის“ მატროსების მოქმედება ხალხი ძლიერ აღელდა, ყველამ საქმეს თავი დაანება, მაღაზიები დაკეტეს, ყველა მოხელეები ერთბაშათ გაიფიცნენ და პროსპექტზედ გამოიფინენ. ყველა ქარხნების მუშები რიცხვით რამდენიმე ათი ათასამდე გაიფიცნენ და 21 ივნისს სოფელ ამურიდან გამოემართენ პროსპექტისკენ. მაგრამ მათ დახვდენ ხიდზედ ყაზახ-რუსები და გაფანტეს. 21 ივნისს ტრამვაის ვაგონების მოძრაობა შეწყდა, მაგრამ 22 ივნისს ისევ დაიწყო მოძრაობა, თითო ვაგონს 4—5 თოფით სალდათი დაუყენა; ხალხმა განიზრახა ტრამვაის დეპოს და ვადაკაჩკის დანგრევა მაგრამ ამათ და სხვა დაწესებულებებს ყარაული დაუყენეს: ზოგან თითო როტა სალდათი და ზოგან ყაზახები; გუშინ და 21 ხშირად და ბევრგან სახლებიდან გამოისროდენ რევოლვერებს სალდათებსა და ყაზახებს შუა, მაგრამ მხოლოთ ერთს პრისტავს ცხენი მოუკლეს და მსუბუქათ დასჭრეს ერთი ყაზახი. 21 ივნისს, როდესაც ერთ პოლიციის ნაწილთან იყვნენ შეკრებულნი რამოდენიმე ყაზახი და ხალხს ცემდენ, ვიღამაც ხალხიდან ყაზახებს ყუმბარა ესროლა, რომელიც არ გასქდა, მსროლელი ვერ დაიჭირეს. გუშინ ფეოდოსიის პოლკის ერთმა სალდათმა, რომელიც პატრულათ იყო დანიშნული და არ უნდა გაეშვა ხალხი დაჩა პროხოროვისკენ, თოფით მოკლა ერთი იქ მიმავალთაგანი; როგორც მკვდარი აგრეთვე ის მკვლელი სალდათიც შეიყვანეს პოლიციაში. ერთობ არეულობაა. 15 ამ თვეს უმაღლესის სამხედრო მთავრობის განკარგულებით აქედან მიწვეული იქნა ადესაში სიმფეროპოლის პოლკი იქ მომხდარ არეულობის დასამშვიდებლათ; იმას კი არ ელოდენ თუ აქაც ისეთივე არეულობა დაიწყებოდა და ეხლა როგორც გავიგეთ, ეს პოლკი ისევ დაბრუნდა ადესიდან ეკატერინოსლავში. ნათქვამია, სახლში რომ მკვდარი გეგდეს სატირლათ, სხვაგან რათ მიდიხარო; აგრეთვე დაიბარეს და მოვიდა ეკატერინოსლავში ორი ბატალიონი კერჩენიკოლის პოლკის ქალაქ პავლოგრადიდან და რამდენიმე ყაზახები ბახმუტიდან და სხვა ადგილებიდან.

**ქართველი.**

—

**გორი**. თბილისს გორმაც მისცა მხარი და გაიფიცა. გაფიცვას ერთი კვირით აპირებდენ, მაგრამ ორი დღის მეტი ვერ გაგრძელდა. თუმცა მაზრის უფროსმა გაფიცვის პირველვე დღეს ძალით გაადებინა სანოვაგის დუქნები და საქონელი დააკლევინა ყასაბებს, მაგრამ ოცში ერთი მცხოვრები თუ ყიდულობდა რამეს: ზოგს ეშინოდა, ზოგიც განგებ არაფერს ყიდულობდა და სხვასაც უშლიდა. თვითონ მედუქნეები დიდ უარზე იდგენ და ასე უპასუხეს მაზრის უფროსს, რომელიც მათ ძალას ატანდა, (გინდა თუ არა, დუქნები გააღეთო)—„არ შეგვიძლიან ვაჭრობა, მოგვკლავენო“. მაგრამ მაზრის უფროსმა თოფიანი ყაზახები დააყენა თავს და ძალით ავაჭრებინა. მეორე დღეს კი ბევრისკან-ბევრი ეძებეს დუქნის პატრონები, რომელნიც სადღაც მიმალულიყვნენ, და რო ვერ იპოვნეს, მაზრის უფროსმა, „ამ კერძო საკუთრების დამცველმა“, ძალით შეანგრევია დუქნები და სალდათ-ყაზახებს ავაჭრებია... ამბობენ, როცა გამწარებული დუქნის პატრონები დაბრუნდენ თავის სარჩოს დასაცველათ, სულ ნახევარ-ნახევარი ფასი მიიღეს გაყიდულ საქონელში. მთელი ორი დღე სულ შეიარაღებული ყაზახები და სალდათები დადიოდენ ქუჩებში. იმათი შიშით მცხოვრებლები გარეთ ვერ გამოდიოდენ. თუ ნახავდით ქუჩაში, ისევ გაფიცულ ხელოსნებს, ნოქრებს და სახლის მოსამსახურეებს.

—

**ქ. თელავი**. ეს რამდენიმე ხანია დაჟინებით ისმის ხმები ლეკების დაცემაზე. საფუძვლიანია გავრცელებული ხმები, თუ ადგილობრივი ჭორი, დანამდვილებით არავინ იცის, ასეა, თუ ისე, ყველა შიშის ზარმა აიტანა და შეუდგენ თავის დასაცველათ საშუალების გამონახვას. საშუალება იგი, რასაკვირველია, იარაღია.

ამ საკითხის შესახებ 4 ამ თვეს იყო მოლაპარაკება ხალხსა და მაზრის უფროსს შორის. ხალხმა თხოვა იარაღი დაგვირიგეთო, რის პასუხათ მიიღეს, რომ ქალაქს იარაღი არა აქვსო. მაშინ მოსთხოვეს მაზრის უფროსს შემდეგი: ნება მოგვეცეს იარაღის გამოწერისა. მეორე—რადგანაც ჩვენ თვითონ ნება არა გვაქვს ამისა,—გვიშუამდგომლეთ, რათა დაბრკოლება არ შეგვხვდესო. მესამეც ის, რომ დაგვრთო ნება—ვარჯიშობისაო.

უფროსმა ყველა ამ თხოვნაზე თანხმობა გამოუცხადა. მიყვებიან ბოლომდის დაწყებულ საქმეს, თუ სათავეშივე მოსწყვეტენ, არ ვიცით.

ძნელი საქმე მოგვივიდა აქაურებს: აგერ ერთ კვირაზე მეტი იქნება, გაზეთი აღარ გვინახავს თვალით, აღარ ვიცით რა ხდება ან შინ, ან გარეთ. ამ მდგომარეობაში ჩაგვაგდო საშინელმა ავდრებმა, რამაც ისე გაანადგურა გზები, რომ ეტლების სიარული ყოვლად შეუძლებელი გახდა.

მოიპოვებიან, რასაკვირველია, ჩვენში ისეთნიც, რომელნიც არ გრძნობენ ამგვარ დასაკლისს, ე. ი. უგაზეთობას. ისინი მუდამ მხიარულებაში, ცეკვა-თამაშში ატარებენ სიცოცხლეს,

მაგრამ ამას წინათ ესენიც უცებ, მოულოდნელათ შეაყენეს და, თუ დიდი ხნობით მაინც არა, ერთ წუთს მაინც შეაფიქრიანეს. ქალაქის საკრებულო დარბაზში იმართება ხოლმე ყოველ კვირა საცეკვაო საღამო: ამ ერთი კვირის წინათაც, გაისმა ჩვეულებისამებრ სამხედრო მუზიკის გრიალი, მაგრამ წარმოიდგინეთ მათი გაოცება და მრისხანება, როდესაც ვიღაც „არა მკითხეებმა“ გადაცეს საკრებულო დარბაზის მამასახლისებს შემდეგი შინაარსის ქაღალდი: ყველასათვის ცხადია, რა საშინელი სისხლის ღვრა ხდება აგერ რამდენი ხანია, შინ და გარეთ. გაისმის ყოველი მხრივ კვნესა, ტირილი, მოთქმა; და ნუ თუ ჩვენ იმდენათ გულ-ქვა, უგრძნობელნი ეგოისტები ვართ, რომ ყოველივე ეს არაფრათ მიგვაჩნია, ოღონდ, ჩვენ არ მოგვაკლდეს უბრალო სიამოვნებაც კი.

არ შეგვშვენის, ზნეობრივი მოვალეობა ნებას არ გვაძლევს, აქ ვიცინოდეთ, ვმხიარულებდეთ, იქ-კი სისხლის ნაკადული ჩქეფდეს, ისმოდეს კვნესა, წყევლა-კრულვა, გამეფებული იყოს ტანჯვა წამება!

გთხოვთ დაითხოვოთ ეხლავე მუზიკა და დღეიდამ მოსპოთ დროებით სამხიარულო საღამოები. ამას გვეუბნება ადამიანური გრძნობა და სინიდისი.

წარდგენილ ქაღალდზე ბევრს ქონდა მოწერილი ხელი. მუზიკა დათხოვნილ იქნა მაშინვე და საცეკვაოთ მოსულნიც სახლებისკენ გაეშურენ.

**მეოცე საუკუნე.**

—

სოფ. **ანაგა** (სიღნ. მაზრა). ხალხის მოძრაობამ ანაგამდისაც იჩინა თავი, აქ ახლა ერთობაზე ბევრს ლაპარაკობენ. ხალხმა იგრძნო თავის ეკონომიური მდგომარეობა. გაფაციცებით, გულ მოდგინეთ ადევნებს თვალ ყურს ჟურნალ-გაზეთებს, სადაც აწერილია რუსეთში მომხდარი ამბები. რუსეთის მოძრაობას აქ გულის ფანცქალით ისმენენ, სახეზედ სიამოვნების ღიმი უკრით. ხალხიო, რომ ვამბობთ, აქ ჩვენ ერთი კლასი გვყავს მხედველობაში, ეგრეთ წოდებული გაპროლეტარიატების გზაზე შემდგარი სოფლის დღიური მუშები, მოჯამაგირეები და წვრილი მემამულეები. ამათ ყველაზე უწინ იგრძნეს თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოების მიერ გამოწვეული სოციალური უკუღმართობა, ეკონომიური უთანასწორობა, ვინაიდან კაპიტალიზმის მძიმე უღელი პირველათ ამათ დააწვათ აუტანელ ტვირთათ. ასეთების რიცხვი ანაგაში საკმარისათ მრავალია; ესენი არიან დიდ მემამულეების ვენახების გამკეთებლები, თამბაქოს პლანტაციებში მომუშავენი, სახნავ-სათესის მომხნავ-მომკველნი, ხელზე

მოსამსახურენი; ამათი მეტი შრომის ნაყოფით სოფლის შეძლებულნი გლეხები და ბურჟუები იტენენ ქისებს, ამათი შრომის ნაყოფით იძენენ ქონებას; ესენი წელიწადში თორმეტი თვე სხვის მამულში ღვრიან ოფლს. მხოლოთ შრომის ეკვივალენტად კი ერთი ლუკმა პურის ფასი რჩებათ ხელში. ეს არის ამათი შრომის ჯილდო. ამათი მდგომარეობა დღითი დღე მწვავდება, დღითი დღე ცხოვრება უკარგისდება, ამათ დაბეჩავებულ მდგომარეობას აორკეცებს სახელმწიფო პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადი, რომელიც ღარიბს მეტ ტვირთათ აწვება.

აბობოქრებული ხალხი, ახლა მოწყურებულივით ეწაფება ახალ მოძრაობის ამბებს. ეს მას ამხნევებს, მან კარგათ იცის, რომ სწორეთ ყველას ერთათ შეერთებულ ძალით შეუძლიან დღევანდელ ცხოვრების შეცვლა თავიანთ სასარგებლოთ. კაცს გული გაუნათლდება, როცა დაინახავს ამათში ჩამდგარ გაზეთის მკითხველს, რომლის წაკითხულს ღრმათ გულში ინერგავენ. ამ სახით, ამათი თვით ცნობიერება დღე-მუდამ იზდება, კლასსობრივი შემეცნება ვითარდება. რასაკვირველია, ამათი ასეთი მოძრაობა ერთი ჯგუფისთვის სასიამოვნო როდია; ესენი ცდილობენ უბრალო ფიზიკურ ძალით ჩააქრონ მოდებული მოძრაობა. ამ ერთი თვის წინეთ ანაგაში ხუთ-ხუთი გვირით დააჭერინეს ანაგის ორი ახალ გაზდა ყმაწვილი. ეს სიბნელის მოყვარულნი ერთნაირ სულის სიმშვიდეს გრძნობენ, ყოყოჩათ დაიარებიან სოფელში და მუქარით ეუბნებიან ახალგაზდობას: თქვენც მალე გიკრავთ საპყრობილეში თავსო... რას იზამს კაცი, ჯერ კიდევ ძლიერნი არიან ესენი და მათი მფარველნი, მაგრამ ვგონებ ამას ჩქარა მოეღოს ბოლო.

ზეინკალი ნიკ. ახმეტელაშვილი.

# რუსეთის ქრონიკა

4 ივნისს ქალაქ კოვნოს გიმნაზიაში ატტესტატებს ურიგებდენ კურს დასრულებულ მოწაფეებს. როცა ყველას დაურიგეს ატტესტატები, ერთი მოწაფეთაგანი მიუბრუნდა იქვე მყოფ პედაგოგებს და შემდეგი სიტყვა წარმოთქვა:

„8 წლის წინეთ, როცა პირველათ შემოვდგით ფეხი ამ სასწავლებელში—ჩვენ ვიყავით მხიარულნი, ცხოვრების მოტრფიალე პატარები; მაშინ ჩვენი გული წმიდა მისწრაფებებით იყო აღსავსე, ის ღია იყო ყოველივე კარგი და პატიოსნისთვის. ჩვენ სინათლე გვწყუროდა, სიყვარულს და მოფერებას დაეძებდა ჩვენი ბუნება. მარა პურის წილ ჩვენ ქვა მოგვაჩეჩეს ხელში; და აი, ახლა, როდესაც 8 წელმა განვლო, ჩვენ გამოვდივართ იმავე სასწავლებლის კედლებიდან და გვრძნობთ, რომ აღარა გვაქვს არავითარი რწმენა არც თავის თავისა და არც, საზოგადოთ, ადამიანებისადმი; ჩვენ დაგვტანჯა და გვაწამა მუდმივმა ბრძოლამ თქვენთან, ჩვენ აქ არ შეგვიძენია არავითარი ცხოვრებაში გამოსაყენებელი ცოდნა, მხოლოთ დავრწმუნდით, რომ უსარგებლოთ დაგვიკარგავს ჩვენი ცხოვრების ამდენი საუკეთესო წლები.

ამ გიმნაზიის მოგონებას ჩვენ არცერთი ნათელი შემთხვევა არ გაგვინათებს, არც ერთი ბრწყინვალე სხივი არ ანათებს ამ ბნელეთის სამეფოს, სადაც ადამიანის პიროვნება მუდამ იგინება და ილახება. ჩვენ მივდივართ აქედან და ერთი გრძნობით ვართ გამსჭვალული ყველა; ეს გრძნობა არის—ზიზღი და სიძულვილი ცხოვრების იმ პირობებისადმი, რომელთაც ასეთი სახის სასწავლებელი შეუქმნიათ... ამ გრძნობით ვეთხოვებით ჩვენ გიმნაზიას, ამ გრძნობითვე გამოეთხოვა მას ყველა, ვინც ამ ნაირ გიმნაზიაში გაატარებს თავის ცხოვრების საუკეთესო დროს“.

სანამ შუამდი მივიდოდა ორატორი, მკვდარი სიჩუმე სუფევდა. შემდეგ დირექტორმა შეაწყვეტინა სიტყვა, დაბოლოს კი საერთო შაურობა და ჩოჩქოლი ატყდა „პედაგოგებში“.

—17 ივნისს ქალაქ ვორონეჟიდან მოვიდა კურსკში საქონლის მატარებელი, რომელსაც უკან ორი, სალდათებით სავსე, და ერთი პირველი კლასის ვაგონი ება. I კლასის ვაგონით ოფიცერი მოდიოდა ცოლით და ორი შვილითურთ. მატარებელი შუადღეზე მოვიდა კურსკში და საღამოს უნდა გამგზავრებულიყო კიევისაკენ, სადაც მიჰყავდათ ზემოხსენებული ჯარის კაცები. სალდათები ისხდენ ჩვეულებრივ საჯაროსკაცო ვაგონებში, რომლებსაც საზოგადოთ აწერია: „8 ცხენი ან 40 სალდათი“. ვაგონებში ტევა არ იყო, ისე გამოვსებული იყო სალდათებით, სიცხე კი 30 გრადუსი იდგა. ერთი სალდათთაგანი ვაგონიდან გადმოხტა და ჰაპანებს სიცხით შეწუხებულმა იქვე პლატფორმაზე სეირნობა დაიწყო. „რატომ ვაგონში არ ჩაჯდებიო“—მწყრალათ შეეკითხა ოფიცერი; სალდათმა უპასუხა, —ვაგონში სიცხეა და იქ სულის მოთქმაც შეუძლებელიაო, და ყველა ამხანაგების მაგიერ თხოვა, უბრძანეთ ერთი ვაგონი კიდევ მოუმატონ მატარებელს, თორემ ასე მგზავრობა შეუძლებელიაო. ოფიცერმა ყვირილი და გინება დაუწყო სალდათს. როცა უკანასკნელმა ხმა ამოიღო პასუხის გასაცემათ, უბრძანა გაეთოკათ „თავხედი“ სალდათი. ოფიცრის ბრძანება შეასრულეს; გათოკილმა სალდათმა ვეღარ მოითმინა და შეაგინა ოფიცერს. ოფიცერმა იშიშვლა ხმალი და ერთი მოქნევით თავი მოაცალა სალდათს. ისეთი საზარელი სურათი იყო, რომ იქ მდგომი ხალხი, რომლის უმეტესობას მუშები შეადგენდა, ერთბაშათ გაშეშდა და ხმა ვეღარ ამოიღო, ზოგმა ვეღარ გაუძლო საზარელ სურათს და გაიქცა. ეს ამბავი ელვათ მოედო ახლო მახლო სახელოსნოებს და სულ ცოტა ხანში მატარებელს აუარებელი აღელვებული მუშა მოაწყდა. ოფიცერმა დაინახა, რომ საქმე ცუდათ იყო და თავის ვაგონში დაიმალა. ხალხი გარს შემოერტყა ვაგონს. „მოჰკალით მკვლელი!“ თითქმის ერთხმათ წამოიძახა ყველამ. გაბრაზებულმა ხალხმა დაუშინა ვაგონს, რაც კი ხელში მოხვდებოდა: ვინ შეშა, ვინ ქვები და სხვ. ვაგონის ფანჯარასთან გამოჩნდა ოფიცრის ცოლი და ბავშვები, ძალზე შეშინებულნი. „ქალბატონო, ნუ შეშინდებით, გამობრძანდით გარეთ!“ მიაძახეს საბრალო ქალს და ბავშვებიანა ხელით გამოიყვანეს ვაგონიდან. მემანქანემ მატარებლის წაყვანა სცადა, მარა გზა უკვე გადაელობა ხალხს. ხალხი კი თან და თან მატულობდა. ოფიცერმა რევოლვერის სროლა დაიწყო ხალხში და ორი კაცი დაჭრა. „ცეცხლი, ცეცხლი წაუკიდეთ ვაგონს!“ დაიგრიალა ხალხმა. მყის მოხსნეს ოფიცრის ვაგონი და სათადარიგო ლიანდაგზე გააჩერეს. შემდეგ წაუკიდეს ცეცხლი და დასწვეს. როცა დამწვარი გვამი გამოათრიეს, გაავთრებულმა ხალხმა ქვა და შეშები დაუშინა გვამს. ამავე დროს ოფიცრის მიერ მოკლულ სალდათთან უკვე მოეყვანათ მღვდელი პანაშვიდის გადასახდელათ. როცა პანაშვიდი გათავდა, მოისმა სამგლოვიარო ზარის რეკა და სალდათის ცხედარი საკაცით გადაიტანეს უახლოვეს ეკლესიაში. მიცვალებულის თავი წინ მოქონდათ. გამოიწვიეს დრაგუნთა ჯარი, გარდა ამისა იქვე 70 ჯარის კაცი იყო, მარა ხალხი იმ ზომამდე გაბრაზებული იყო, რომ ახლოს ვერავინ ეკარებოდა. ერთმა ჟანდარმის ოფიცერმა ძლივს დაახწია თავი გაავთრებულ ხალხს. მიცვალებული დიდის ამბით დამარხეს. უკანასკნელი სალამის მისაცემათ მოვიდა ობოიანსკი პოლკის ერთი როტა. კუბოს ათასობით ხალხი მიჰყვებოდა. ოფიცრის გვამი კი გამოძიებამდი ხელ-უხლებლათ დატოვეს.

(რ. გ.).

— სტავროპოლის საზოგადო საკრებულოს წევრებმა წინადადება შეიტანეს, რათა წევრების რიცხვიდამ გამოირიცხონ გუბერნატორი ველიამინოვი და პოლიცმეისტერი რაევსკი. წინადადებას ხელს აწერს 23 წევრი.

— გაზეთი „ვეჩ. პოჩტა“ ერთი თვით აკრძალულია მთავრობის განკარგულებისამებრ. „ვეჩ. პოჩტა“ ერთი საუკეთესო გაზეთთაგანი იყო რუსეთში.

— ციმბირში მთავრობა ერობის შემოღებას აპირებს. ამ მიზ-

ნისათვის იკრიბება სტატისტიკური მასალები ადგილობრივ მიწათმოქმედობის შესახებ.

— ირკუტსკის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე შემდეგ პოლიტიკურ დამნაშავეთა: ზაბაიკალის რკინის გზის სამმართველოს საქმის მწარმოებელ ანდრია ზინამენსკის, აზნ. ანატ. ლევენტონის, იმავე რკინ. გზის აგენტი დიმიტრი ფელენევის, ტატიანა ფელენევის, და გლ. მაქსაკოვის; დამნაშავეებს ბრალდებოდათ საიდუმლო საზოგადოების დაარსება, რომელსაც ირკუტსკის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი ერქვა სახელათ. ბრალდებულებმა პალატის მიერ დანიშნული ვექილი არ ინდომეს და საქმის გარჩევაში მონაწილეობის მიღებაზეც უარი განაცხადეს. პალატამ დამნაშავეთ იცნო ბრალდებულნი და მიუსაჯა ციხეში დაპატიმრება ერთს 6 წლით, ერთს 5 წლით, დანარჩენებს კი ნაკლებით ვადით.

—კიევის სატუსაღოში მეექვსე დღეა, რაც სიმშილით გაითვიცა 32 პოლიტიკური ტუსაღი. გაფიცვის მიზეზი იყო: საჭმელის უვარგისობა, განჩრევა, ტუსაღების ნახვის აკრძალვა ნათესავებისათვის და სხვ. ადგილობრივ მთავრობას არავითარ ღონისძიებისათვის არ მიუმართავს გაფიცვის შესაწყვეტათ. დამშეული ტუსაღები საშინელ მდგომარეობაში იმყოფებიან, განსაკუთრებით დაიტანჯენ ქალები (პრავო)

—ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ პოლონეთში სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა ერთ ახალგაზრდა კაცს, გვარათ დეიჩს, რომელსაც პრისტავის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა. სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს დეიჩის დამცველებმა. უმთავრესმა სამხედრო სასამართლომ დაამტკიცა წინანდელი განაჩენი.

— მთელ რუსეთს ცეცხლივით მოედო აგრარული მოძრაობა. მგონი აღარ დარჩენილა ისეთი კუთხე, სადაც უზომოთ გამწარებულ გლეხკაცობას თავისი, აქამდი მუნჯი, ენა არ აებას და უკმაყოფილება არ გამოეცხადებიოს ახლანდელ მდგომარეობის შესახებ. ამ ბოლო დროს სხვათა შორის შემდეგ ადგილებში დაწყებულა გლეხთა მოძრაობა: პსკოვის, პეტროვსკის, სერდობის, ადესის, ტარაშჩანის და არდატოვის მაზრებში, ხარკოვის გუბერნიაში, სუმის, ლებედინის და მინის მაზრებში, კიევის გუბერნიაში, დაბა ეიდკუნენში, ბუდკაში, ტერნში, ბელაია ცერკოვის ახლო-მახლო მიდამოებში, ნიტაუს მამულებში და სხვა მრავალ ადგილებში.

—ნიტაუში გლეხებს (ლატიშები) დიდებული დემონსტრაცია მოუხდენიათ 5 ივნისს. შეკრებილა რამოდენიმე ათასი კაცი და ჯერ ეკლესიაში მისულან, იქ მღვდლისთვის გამოუცხადებიათ, დღეს ნუ-და სწირავო და მიტინგი გაუმართავთ. შემდეგ პირდაპირ მემამულის სასახლისკენ გამართულან და რამოდენიმე მოთხოვნა წარუდგენიათ მემამულისათვის.

უკანასკნელს სიტყვა მიუცია, დაკმაყოფილებთო, და ხალხიც გამობრუნებულა იქიდგან. შემდეგ პასტორის (მღვდლის) სადგომზე მისულან. მღვდლისთვის მიურთმევიათ ქვა შემდეგი სიტყვებით: დაიბრუნე ის, რაც მიგიცია შენი სამწყსოსთვისო. შეშინებული მღვდელიც დაპირებია აღელვებულ ხალხს მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ურიადნიკები ხალხს სიახლოვესაც არ გაკარებია.

—დაბა ეიდკუნენში მცხოვრები გლეხები, რიცხვით 4000 კაცი ადგილობრივ პოლიციის სამმართველოს მიესია ყვირილით: ძირს რუსეთი, გაუმარჯოს იაპონიასო! და მტვრევა დაუწყო პოლიციის შენობას; ფანჯრები სრულიად ჩალეწეს და უფროსი პოლიციელი, რომელმაც ხმალი იშიშვლა, ნაკუწ-ნაკუწათ აქციეს. პოლიციამ რამოდენიმე მოთავე შეიპყრო. (პრავო).

—15 ივნისს ქ. ოდესაში ვიღაც უცნობმა კაცმა ბომბის სროლა სცადა საკათედრო სობოროს მოედანზე დაყენებულ ჯარში. გოროდოვოიმ დროზე შეამჩნია უცნობის განზრახვა და დაედევნა უკანასკნელს. მაშინ უცნობმა გოროდოვოის ესროლა ბომბი და ნაკუწ-ნაკუწათ აქცია; უცნობი თითონაც ძალიან მძიმეთ დაიჭრა და ცოტა ხანში გადაიცვალა. იმავე დღეს სამი ტყვიით და ხანჯლით დაუჭრიათ პოლიციის ბოქაული დოლგანოვი.

ტირასპოლიდან ტელეგრამით იტყობინებიან, ადესის ამბებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აქ და საშინელი მღელვარება გამოიწვიაო. ტირასპოლში გაუგზავნიათ ჯარი: ერთი ესკადრონი დრაგუნებისა და საარტილერიო ბრიგადა.

---

## „ქართველ-მოღვაწეებში“.

ხუთი წლის წინეთ რომ მომხდარიყო ის, რაც ამ ერთი კვირის წინ მოხდა, «მთელი საქართველო“ ფეხზე დადგებოდა, შეინძრეოდა და ყურთა სმენა აღარ იქნებოდა ჩვენ ქალაქში. მართლაც და სახუმარო საქმე ხომ არ იქნებოდა, ილია ჭავჭავაძეს რომ ბანკისთვის თავი დაენებებია და სამსახურიდან გასულიყო... ამის წარმოდგენასაც კი ვერ შეიძლებდა ბევრი „მოღვაწე“, და თუ წარმოიდგენდა, უეჭველათ ტანში ჟრუანტელი დაუვლიდა, ენა სასაზე მიეკროდა და ხახა გამშრალი, გამოშტერებული დარჩებოდა. მას წარმოუდგებოდა საშინელი სურათი სამშობლოს დაღუპვისა, ცხოვრების შეჩერებისა და მრავალი სხვა უბედურებისა... დღეს კი ამ «დიდ უბედურებას» თითქმის არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, და საზოგადოება ისე შეხვდა, თითქო ამდენხანსაც უნდა მომხდარიყოო. მხოლოთ ნამდვილმა მებანკეებმა გაუგზავნეს დეპუტაცია და თხოვეს დაბრუნება, მაგრამ ბატონი აღარ დაბრუნდა; ჯერჯერობით მაინც უარზეა, ან კი რათ უნდა დაბრუნდეს, როცა პენსიაც და ჯამაგირიც ყავლის შესრულებამდე რჩება, ხოლო დრო და მოცალეობა კი მეტი ექნება, თუნდ საგურამოს მამულის, იმ „დიდი დოვლათის“ მოსაწყობათ, რომელიც მისთვის სამოთხეა, ხოლო (დღემდინ) მისი გლეხებისათვის ჯოჯოხეთი. მერე კი როცა კენჭობანას დრო მოვა (თუ ამას დაუცადა და ძველებურათ უკანონოთ არ გამოაცხადა მის მიერ ათვალწუნებული დირექტორის არჩევნები!), კვლავ აცოცდება ბანკის მმართველის კოფოზე. დიახ, მეტათ შეუმჩნევლათ ჩაიარა ამ «დიდმა უბედურებამ», რადგან საქართველოს ბურჯის საუბედუროთ დრონი იცვალენ და რაღაც აჩირებული ირონიის წყალობით მისი დაცემა სწორეთ იმ დროს მოხდა, როცა მთელი ქალაქი და მთელი კავკასია მოწმე იყო ბურჯის მიერ ათვალწუნებულ «ნულებისა» და „შავი ხალხის“ მოძრაობის ძლიერების გამოხატულებისა. ამ დროს ბურჯებზე არავინ ფიქრობდა, ყველას გონების თვალი მიპყრობილი იყო «უჩინართა» მოზღვავებულ ძლიერებისაკენ; ჭავჭავაძეზე და მის ბანკზე საფიქრალათ აღარავის სცხელოდა...

მაინც, რა მოხდაო, იკითხავს მკითხველი. არაფერი, გამოაშკარავდა ის, რაც დიდი ხანია უნდა გამოაშკარავებულიყო, გამოირკვა რომ ჭავჭავაძის რეჟიმს ბანკი გაკოტრების კარამდინ მიუყვანია და საჭიროა ბანკის საზოგადოება უფრო მეტი სიფხიზლით მოეკიდოს საქმეს, თორემ ნამდვილი გაკოტრებაც მალე მიადგებათ კარზე. ამისთვის უმთავრესათ ხელი შეუწყვია დამფასებელთა კომისიის დაუდევრობას და გამგეობის უმოქმედობას ე. ი. ილია ჭავჭავაძის კამარილას. თვითონ დიდი ბატონი იმით იმართლებდა თავს, რომ მას არც ერთი საქმე, არც ერთი დაფასება, არც ერთი დაგირავება (რომელიც კი ახსენეს) თითქმის თვალითაც არ უნახავს. კრებასაც, რამდენათაც ვატყობდით, საკმაოთ მიაჩნდა ასეთი გამართლება და «საქმეც» მშვიდობიანათ ჩაივლიდა, მაგრამ ბურჯი სამ-

მძლეყის ძალით აღჭურვილმა
დაანგრიე კერპთ სავანე,
და, ვინც მას ბრმათ სცემდა თაყვანს,
ნათელ გზაზე გაიყვანე!

აწ დრო დადგა განსვენების:
დაასრულე დღენი ბრძოლით!
შენ, ვარსკლავო, მოწყდი ზეცას,
უფსკრულს მიქრი ნათელ-ზოლით!

და გვშორდები მხოლოთ ხორცით;
სული ლვაწლში ცოცხლობს მარად!
თუმცა გვეწვის გული ცეცხლით,
შენ არ გსახავთ მაინც მკვდარათ;

აწ შენს სახელს შეგვინახავს
ძეგლი გრძნობით აგებული;
ზედ დავაწერთ: „ჩაგრულთ მცველი
და ერთობის მოციქული“.

გ. ბოკერია.

## მცირე შენიშვნა.

(ბ-ნ ივ. რამიშვილის წერილების გამო).

ამ ორი თუ სამი კვირის წინეთ, გაზ. „ივერიაში“ დაიბეჭდა წერილი შემდეგი სათაურით: «ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის გამარჯვება», რომელსაც ხელს აწერდა ბ-ნი ივ. რამიშვილი (იხ. «ივერია». № 96). ხუთი დღის შემდეგ ამავე ავტორის წერილი: «რას გვასწავლის ნორვეგიის მაგალითი» დაისტამბა გაზ. „ცნობის ფურცელში“ (№ 2844). ხსენებული წერილების შინაარსი და, ალბათ, მიზანიც ერთი და იგივეა. განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ „ცნობის ფურცელში“ ბ-ნი რამიშვილი შედარებით დიდ რიხიანობას იჩენს და როგორც ეტყობა, იგი პოლემიკურ ქავილსაც აუტაცია. სწორეთ ამ უკანასკნელმა გარემოებამ გვაიძულა ჩვენ, რომ ბ-ნ რამიშვილისთვის მოკლე პასუხი გაგვეცა.

ორივე დასახელებულ წერილში ჩვენი ავტორი აღნიშნავს ნორვეგიაში მომხდარ ამბავს, სახელდობ იმას, რომ ნორვეგიის პარლამენტმა (სტორტინგმა) კავშირი გაწყვიტა შვეციასთან, რომელთანაც იგი შეკავშირებული იყო 90 წლის განმავლობაში, თავისი თავი ცალკე სამეფოთ გამოაცხადა და მეფეთ შვეციის მეფის შვილი აირჩიაო. შემდეგ ავტორი მოგვითხრობს, თუ რა ამბით და ზეიმით მიეგება ნორვეგიის ერი ასეთ გადაწყვეტილებას. გაიმართა ეროვნული დღესასწაული, რომელშიაც «ყველა, გლეხია იგი, მემამულე, მღვდელი თუ ინტელიგენტი, მუშა თუ მექარხნე, მეცნიერი თუ სტუდენტი, პოლიციელი თუ სალდათი, მხურვალე და ერთნაირ მონაწილეობას იღებს. ეროვნულს ენტუზიამს საზღვარი არა აქვსო». ასე წერდა ბ-ნი რამიშვილი «ივერიაში», მაგრამ ეტყობა ამით სავსებით ვერ გამოუთქვამს თავის საკუთარი აზრი და ამიტომ „ცნობის ფურცელში“ წერს: «ქართველი საზოგადოებისათვის დიდათ საინტერესოთ უნდა იყოს იმისი გაგება, თუ როგორ მიეგება ამ ეროვნულ მოძრაობას ნორვეგიის მუშათა პარტიაო». ავტორი გადაჭრით და კატეგორიულათ გვეუბნება, რომ «ნორვეგიის მშრომელი ხალხი, გლეხი თუ მუშა, აღტაცებით მიეგება ბურჟუაზიის მიერ დაკანონებულს სეპარატიულს აქტს»... და ამით ნორვეგიის მუშათა პარტიას, ჩვენი ავტორის სიტყვით, დაუმტკიცებია ის, რომ ხსენებულ პარტიას აქვს ეროვნული გრძნობა, რომ იგი ეროვნულს ნიადაგს არ ჩამოშორებია“ და ეს „ადვილათ გასაგები ფაქტი მხოლოთ დოგმით დაბრმავებულთ გააკვირვებსო». ბ-ნ რამიშვილის აზრით, მუშათა პარტია სწორეთ ასე უნდა მოქცეულიყო, წინაალმდეგ შემთხვევაში „ნორვეგიის მუშა ხალხი შეცოდების ღირსი იქნებოდაო‘‘. ამ ნაირათ, როგორც ხედავთ, ნორვეგიის მუშათა პარტია აღტაცებით მიგებებია ახალი სამეფოს დაარსებას, ე. ი. ევროპის მეფეთა ოჯახისათვის ერთი წევრის მომატებას! თუ მკითხველი სრულებით გულ უბრყვილო არ არის, იგი ადვილათ მიხვდება, რომ აქ ან რაღაც თვალთმაქცობაა, ან სრული გაუგებრობა. და მართლაც ბ-ნ რამიშვილს თავისი ყოვლათ შეუწყნარებელი აზრის დასამტკიცებლათ მოყავს ქ. ქრისტიანიაში მომხდარ კრების გადაწყვეტილება, სადაც ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ნორვეგიის მუშათა პარტიის შესახებ, არამედ ლაპარაკია მხოლოთ ქრისტიანიის მოქალაქეებზე. აი რა არის იქ ნათქვამი: ,,საზოგადო კრებაზე შეკრებილი ქრისტიანიის მოქალაქენი უცხადებენ სტორტანგს მხურვალე მადლობას‘‘... შეიძლება ბ-ნ ივ. რამიშვილის მოქალაქენი და მუშათა პარტია ერთი და იგივე გონია? ცნობილია, რომ სადაც მუშათა პარტია სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციით შეკავშირებული არსებობს, იგი ყოველთვის გამოყოფილია მცხოვრებთა დანარჩენ ნაწილებისაგან და მის კრებას არასოდეს მოქალაქეთა კრება არ ეწოდება. მაგ., გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრების კრება არასოდეს არ გამოაცხადებს თავის თავს გერმანიის რომელიმე ქალაქის მოქალაქეთა კრებათ. დაწინაურებულ და განათლებულ ქვეყანაში მცხოვრებმა ეს კარგათ უნდა იცოდეს და ჩვენისთანა ჩამორჩენილ ქვეყნის მცხოვრები ამას ვერ უნდა ასწავლიდეს ფრაიბურგელ რამიშვილს, მაგრამ, ხომ იცით, ცხოვრებაში ბევრი ახირებული რამ ხდება. ზემონათქვამიდან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ნორვეგიაში ან სრულებით არ არსებობს გერმანიის მსგავსი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ან თუ არსებობს, ქრისტიანიაში მომხდარი კრება, რომელზედაც ბ-ნი რამიშვილი გვითითებს, მუშების კრება არ ყოფილა. ასეა თუ ისე, ჩვენ სრულებით უარს არ ვყოფთ იმას, რომ ხსენებულ კრებაზე ნორვეგიის მუშებს მონაწილეობა არ მიეღოთ. მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ქრისტიანიაში მომხდარი კრება შეგნებულ მუშების, ე. ი. სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის, კრება ყოფილიყოს. მაგრამ დავანებოთ თავი ამას და მხოლოთ ვიკითხოთ: ესმის თუ არა ბ-ნ რამიშვილს, თუ ვის უკრავს იგი ტაშს, თუ ვის ახარებს იგი თავისი თვალმაქცობით და სიყალბეზე აშენებული მსჯელობით? აშკარაა, რომ ჩვენი ავტორი ქართველ ნაციონალისტების ბანაკში უკაკუნებს, ჩვენ ავტონომისტებს უკრავს ტაშს. რას ამტკიცებს ნორვეგიის პარლამენტის გადაწყვეტილება? ღირსია იგი იმის, რომ ნორვეგიის პროლეტარიატი ანუ შეგნებული მუშების პარტია, ამ გადაწყვეტილებას აღტაცებით მიგებებოდა? ჩვენი აზრით, ეს გადაწყვეტილება მხოლოთ იმას ამტკიცებს, რომ ნაციონალისტები ყოველგან და ყოველთვის ბურჟუაზიის ინტერესების დამცველები არიან, სულ ერთია ქართველები იქნებიან ისინი, თუ სხვა ვინმე. და მართლაც, თვით ბ-ნ რამიშვილის სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ნორვეგიის და შვეციის ხალხს ყველაფერი ხელს უწყობდა, რომ ისინი ერთათ ყოფილიყვნენ. ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული პირობები, ზნე-ჩვეულებები, მსგავსი ენა, ისტორიული ტრადიციები და სხვ. თითოეული იმათგანი ცხოვრობდა სრულებით დამოუკიდებლათ, ჰქონდათ თავ-თავისი საკუთარი პარლამენტი, ფინანსები, თითოეულს ყავდა თავისი საკუთარი ჯარი და ფლოტი. ეს არ იყო ავტონომიური თვითმართველობა, ეს იყო ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შეერთება; საერთო იმათ მხოლოთ მეფე ყავდათ. იქ ადგილი არ ქონდა ცენტრა-

ლიზმს, ვინაიდგან თითოეულ იმათგანს თავისი საკუთარი საკანონმდებლო ორგანო, პარლამენტი ქონდა. რაც შეეხება ენის, ზნე-ჩვეულებათა და კულტურის დაჩაგვრას, ე. ი. რაიმე ეროვნულ შევიწროებას, აქ სრულებით ადგილი არ ჰქონებია. ერთი სიტყვით აქ არ არსებობდა ეროვნული საკითხი იმ სახით, რა სახითაც ეს სხვაგან არსებობს. მიუხედავათ ამისა, ნორვეგიამ მაინც გაწყვიტა კავშირი შვეციასთან და საკუთარი მეფის ყოლა ისურვა. ამაში ხედავს ბ-ნი ივ. რამიშვილი ეროვნული პრინციპის გამარჯვებას. მაგრამ თუ კი ნორვეგიის ხალხი არავითარ ეროვნულ შევიწროებას არ გრძნობდა, როგორც თქვენ ბრძანებთ, ბ ნო ივ. რამიშვილო, რანაირ გამარჯვებაზეა აქ ლაპარაკი? თუ ეროვნულათ ნორვეგიელი ხალხი დაჩაგრული არ იყო, რაღასთვის იბრძოდა, ან რა საჭირო იყო მისთვის გამარჯვება? მაგრამ ჩვენი ავტორი სულ კი არ ცდება. შვეცია-ნორვეგიის შეერთებით, კავშირით, იჩაგრებოდა და შევიწროებას იტანდა ნორვეგიის ბურჟუაზია. საქმე იმაშია, რომ ნორვეგიის ბურჟუაზიის უკმაყოფილება კავშირის წინაალმდეგ ეკონომიურ ნიადაგზე დაიბადა. საკუთარი ელჩების ყოლა და საგარეო პოლიტიკაზე მეტი გავლენის მოპოვება, ყოველივე ეს ეკონომიურ ნიადაგზე ჩამოგდებული განხეთქილების შედეგია. როგორც თვით ბ-ნი რამიშვილი მოგვითხრობს, „ნორვეგია (ანუ უკეთ რომ ვთქვათ ნორვეგიის ბურჟუაზია) მომხრე იყო უფრო თავისუფალი ვაჭრობის (ხაზს ჩვენ ვუსვამთ ფ. გ.) შვეცია კი მფარველობითი სისტემას, ან ბაჟების სისტემას იცავდა. და აი ამ ნიადაგზე დიდიხანია ღვიოდა ორი მეზობელი და მოძმე ხალხის ბურჟუაზიაში დაფარული ბრძოლა. ნორვეგიის ბურჟუაზიას ალბათ ხელს აძლევდა თავისუფალი ვაჭრობა, ე. ი. საზღვარ გარედან შემოტანილ საქონელზე ბაჟების მოსპობა; პირ იქით, შვეციის ბურჟუაზიისათვის უფრო ხელსაყრელი იყო მფარველობითი სისტემა, ე. ი. ბაჟების გადიდება, და ვინაიდან საგარეო პოლიტიკაზე გავლენა უფრო შვეციის ბურჟუაზიის ხელში დარჩა, ნორვეგიის ბურჟუაზია ამას ვერ მოითმენდა და ამ სფერაშიაც სრული თავისუფლება უნდა მოეპოვებია. ეს შესაძლებელიყო კავშირის გაწყვეტით და საკუთარი სამეფოს გამოცხადებით. ბურჟუაზიამ მიახწია თავის მიზანს. სტორტინგმა გამოაცხადა, რომ ნორვეგია წყვეტს შვეციასთან ყოველგვარ კავშირს და ამასთანავე ნორვეგიის ტახტი თავისუფლათ გამოაცხადა. რა თქმა უნდა ბურჟუაზია ტახტზე ისეთ მეფეს დასვამს რომელიც მის ინტერესებს სავსებით დაიცავს. ჩვენ მხოლოთ ვერ გაგვიგია, რა შუაშია აქ ეროვნული პრინციპის გამარჯვება, ან მუშა ხალხის ალტაცება! თუ მართლა, ნორვეგიის პროლეტარიატი იმ ზომამდე შეუგნებელია, რომ მას თავისი ინტერესები ბურჟუაზიის ინტერესებისაგან ვერ გაურჩევია, მით უფრო უარესია მისთვის. ერთი სიტყვით, თუ ბ-ნი რამიშვილი ვისმეს ამარცხებს თავისი ორი წერილით, ეს ისევ ავტონომისტებს, და მათთან ერთათ თავის თავსაც. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ საქართველოს ავტონომია დღეს მხოლოთ მჩაგვრელთა ინტერესებისათვის არის გამოსადეგი, რომ იგი ხელსაყრელია მხოლოთ ბურჟუაზიისა და საზოგადოთ ყველა შეძლებულ კლასებისათვის, და არა მშრომელ ხალხისათვის. ამას აშკარათ ამტკიცებს ნორვეგიის მაგალითიცა, რომელსაც ასე დაუბრმავებია ფრაიბურგში მყოფი ქართველი, ბ-ნი ივ. რამიშვილი. ეს ვაჟბატონი „უვიცებს“ და „დოგმით დაბრმავებულებს“ უწოდებს იმათ, ვინც დღევანდელ კონკრეტულ პირობებში საქართველოს ავტონომიის წინაალმდეგნი არიან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საქართველოს ტერიტორიალურ—ეროვნული ავტონომია დღევანდელ პირობებში პროლეტარიატის თვით ცნობიერების განვითარების საქმეს დააბრკოლებს და მით ხელს შეუშლის სხვა და სხვა ერის მუშების გაერთიანებას და საერთო მტრის წინაალმდეგ ბრძოლასო. ყოველივე ეს, ავტორის აზრით, „ქართველ უვიცთა მიერ შეთხუზული თეორიაა»! რომ აქ არავითარი თეორია არ არის, არამედ საგანი ტაქტიკურ კითხვას შეეხება, ეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, გარდა განათლების ავათმყოფობით შეპყრობილ ავტორისა. ჩვენ დავინახეთ, რა სიმართლე გვითხრა ბ-მა რამიშვილმა ნორვეგიაში მომხდარ ამბის გამო, დავინახეთ აგრეთვე ისიც, თუ ვის ინტერესებისათვის ზრუნავს ბურჟუაზიის ნაშვილევი ვაჟბატონი. ჩვენ მხოლოთ ერთი გარემოება გვაწუხებს: რა უფლებით, რა ზნეობრივი უფლების ძალით, გველაპარაკება ბ-ნი რამიშვილი მშრომელ ხალხზე და მის ინტერესებზე, რათ აშკარათ, პირდაპირ არ ამბობს, ვისი მოსამსახურე და მონა-მორჩილია. მაშინ მისი საქციელი უფრო პატიოსანი იქნებოდა.

**ფ. მახარაძე.**

---

## სამძიმრის დეპეშები და წერილები

### ალექსანდრე წულუკიძის გარდაცვალების გამო.

**ქუნევა.** ღრმათ შეწუხებულნი ვართ დაუვიწყარი ამხანაგი საშას უდროვოთ დაკარგვით, რომელმაც მთელი თავის სიცოცხლე ხალხის სამსახურს შეწირა; სიკვდილმა მოგვტაცა ის სწორეთ იმ დროს, როდესაც მისი ნიჭიერი და თავგანწირული შრომა მეტათ საჭირო იყო. გთხოვთ გადასცეთ ჩვენი გულ-წრფელი მწუხარება განსვენებულის მეუღლეს.

**ანეტა მეძმარიაშვილი, გალდავა, ნათაძე, კაკი წერეთელი.**

—

**პეროვსკი.** სამშობლოდან შორს გადახვეწილი ქართველები, ღრმათ შეწუხებულნი ვართ ჩვენი ლიტერატურის დამამშვენებელის დაუვიწყარი ალექსანდრე გიორგის ძის წულუკიძის დაკარგვით, რომელმაც თავისი შრომით სიცოცხლის ნაპერწკალი ჩაკვესა ჩვენ გულში. ხსენება მისი საუკუნოთ დარჩება ჩვენთან.

**შალვა ლორთქიფანიძე, ტაპია ლორთქიფანიძე, ვარლამ ლორთქიფანიძე, სამსონ შავდია, ალექსანდრე სიხარულიძე, გიორგი გველესიანი, ბესარიონ ნოგიავა, სპირიდონ კურნალი, ნიკოლოზ გაბაშვილი, იოსებ ჟვანია, სიმონ ჟვანია, ქრისტეფორე აბანელი.**

—

ჩვენ, ციხეში მომწყვდეული ამხანაგები, დიდი მწუხარებით ვგლოვობთ შეუპოვარი მებრძოლი ამხანაგი ალექსანდრე წულუკიძის დაკარგვას, მაგრამ აღფრთოვნებული იმ იდეებით, რომელსაც ამხანაგი ალექსანდრე ემსახურებოდა, ვაძლევთ დაუვიწყარ ამხანაგს პირობას, რომ ჩვენც ვიბრძოლებთ იმ იდეების განხორციელებისთვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდი.

ხელს აწერს 14 კაცი.

ბათუმი, 1905 წ. 23 ივნისი.

—

ჩოხატაურელნი, დამწუხარებულნი ალექსანდრე წულუკიძის სიკვდილით, ვგრძნობთ ნათლათ, რომ მისი დაკარგვით საზოგადოების ბედკრულ ნაწილს მოაკლდა ერთი საუკეთესო მუშაკთაგანი და ვუერთდებით რა საყოველთაო გლოვას, მხურვალე თანაგრძნობას ვუცხადებთ გარდაცვალებულის მეუღლეს ელენეს ღრმა მწუხარებაში და, თუ არ ვტირით თავდავიწყებით, მხოლოთ მიტომ, რომ დარწმუნებულნი ვართ, ამ პატიოსანი ადამიანის ნამოღვაწევი შესამჩნევია და უკვდავათ რჩება ის იდეია, რომელსაც ეს თავდადებული მებრძოლი ემსახურებოდა, გაიმარჯვებს და ამით არსებული ბიურ. რეჟიმის უკუღმართობა უსამართლობას ბოლო მოეღება. დღესვე ვიხდით პანაშვიდს განსვენებულის პატივსაცემლათ. მიიღეთ ჩვენი გულწრფელი სიტყვა.

ჩოხატაური. 13 ივნისი, 1905 წელი.

—

**გაგრა.** ჩვენი სახელოვანი მოღვაწის, მუშა ხალხის მეგობრის ალექსანდრე წულუკიძის უდროვოთ გარდაცვალებამ ძალიან დაგვალონა

და გული მოგვიკლა გაგრელ ქართველებს. უმორჩილესათ გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი ჟურნალის საშვალებით უგულითადესი მონაწილეობა გამოვუცხადოთ მათ მწუხარებაში დაუვიწყარი პატრიოსანი მუშაკის მშობლებს და მეუღლეს.

ივანე ავალიანი, მიხ. ემუხვარი, პეტრე ელიავა, სამსონ ჩიქოვანი, იოსებ მატახერია, სერ. ინჯარაძე, იასონ ბუკუჩავა, ფილიპე თოდუა, ალექსანდრე ჩიქოვანი, ლევან პაპასკირი, ბესარიონ შარუხია, მიხ. ცარია, ივანე ემუხვარი, ბახვალა ემუხვარი, ბეკი ფაჩაცია, კოსტა ჩიქოვანი, შაშა ბედანია, სპირიდონ დ. ნადირაძე, სიმონ ალალიძე, ეფრემ ელიავა, თემურაზ ალასანია, ალექსანდრე საბაშვილი, მიხაილ ჯოლია, ფილიმონ ქდენტი, ვიქტორ ერქომაიშვილი, სერგო... ერმილე კალანდარიშვილი, არსენ როყვა, კოსტა ცინცაძე, გიორგი კვაჭანტირაძე, ბესარიონ როგავა, ერმილე გეგენავა, ირაკლი ჯოლია, გერმანე კიზირია, ჯაბულო ბერაძე, თედორე წილოსანი, გრიგორი სულავა, თედორე ხორავა, კალისტრატე გაბუნია, ერმინე თულაძე, მოსე ხორავა, ერმინე პარკაია, დათიკო ნარსია, ნოე ჩაჩავა, პლატონ სულახვერიძე, თეოფილე ჩასრია, პეპუ გოგუშვილი, ვლადიმერ ბენდელიანი, ბათლომე ჩაჩავა, სამსონ ფირცხალაშვილი, პორფილე მაღლაკელიძე, პარმენ დ. პეტრიაშვილი, აკაკი მ. მუჯირი, მიხა ერქომაიშვილი, ევგენი ფერაძე, დიმიტრი ხეცია, აქსენტი ბენდელიანი, მოსე გ. ცხოიძე, რ. ხითაროვი, ილარიონ ავანდელიანი, დავიდ ბენდელიანი, ანდრეი გოგეშვილი, ივლიანე ტუღუში, ივანე სიხარულიძე, ბესარიონ ცინცაძე, იოსებ მარუაშვილი.

ხელს აწერს 74 კაცი.

—

**ზემო რაჭიდან.** უზომო მწუხარება მოგვაყენა ჩვენ, რა ის ახალგაზდობას, საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე წულუკიძის უდროვოთ დაკარგვამ... კიდევ მოგვტაცა ულმობელმა სიკვდილმა ერთი საუკეთესო ხელმძღვანელთაგანი და სწორი ამხანაგი; წარგვიტაცა უწყალო ბედმა დაუფასებელი მეგობარი და თანამედროვე უეულმართი ცხოვრების ეკლიან გზაზე წინ მიმავალი...

ალექსანდრეს დიდებული მოძღვარი სიკვდილის წინა ხანებში ვერა ხედავდა თავის მოძღვრების მთელს ქვეყანაზე საკმაოთ გავრცელებას... აი ეს ჯავრი აწუხებდა ძლიერ სულის პატრონს, აი ეს მწუხარება ჩაიტანა დიდებულმა მეცნიერმა შავ საფლავში... დღეს კი ამ მოძღვრებამ მთელი დედა მიწა მოიცვა, და აი ამ მოვლენას მოესწრო ალექსანდრე წულუკიძე, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში ნათლათ ხედავდა ამ მოძღვრების ძლევა მოსილებას, რაც ასულდგმულესდა და აძლევდა ენერგიას ფიზიკურათ სუსტს, მაგრამ სულით ძლიერ ალექსანდრეს. აი ამ გრძნობამ ათქმევინა მას სიკვდილის წინა წუთებში „იდეია გაიმარჯვებს“-ო... ახლა ალექსანდრეს მაგიერ დაგვრჩენია მისი იდეია, მისი მიზანი, რომელსაც არ უნდა ვღალატობდეთ, როგორც არა ღალატობდა ალექსანდრე, უნდა ვემსახურებოდეთ, როგორც ემსახურებოდა თვით ალექსანდრე. აი ამან უნდა გაგვამხნეოს და გაგვინათოს ბრწყინვალე მომავალი...

**რაჭის ახალგაზდათა ჯგუფი.**

—

**განჯა.** მაშვრალთა და ტვირთ მძიმეთა საუკეთესო მერმისისთვის ერთ ერთ პირველ მებრძოლთაგანის, ალექსანდრე წულუკიძის უდროვოთ გარდაცვალებამ საშინლათ დამითუთქა გული მე, ერთ მის ახლო ნაცნობთაგანს.

ვუცხადებ ღრმა მწუხარებითი თანაგრძნობას, როგორც „მოგზაურის“ რედაქციას, ისე განსვენებულის ოჯახობასაც.

პროვიზორი **ხარიტონ მამალაძე.**

## ადესის ამბები.

აღდგომიდან დაწყებული მუშების გაფიცვა ექვს კვირაზე მეტს გაგრძელდა. ივნისის დამდეგს კი გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა 3000-მდე მუშა, განსაკუთრებით მექანიკურ ქარხნებიდან, რომელთა პატრონები არას გზით არ თანხმდებოდენ ცხრა საათის სამუშაო დღეზე. გაფიცვა სრულიად მშვიდობიანათ მიმდინარეობდა, რადგანაც ქალაქის უფროსი ნებას აძლევდა მუშებს თავისუფლათ შეკრებილიყვნენ ქარხნებში და ახლო-მახლო. ყოველი ქარხნიდან არჩეული იყვნენ დეპუტატები, რომელთაც ხანგრძლივი, მარა უნაყოფო მოლაპარაკება ჰქონდათ პატრონებთან. ათ ივნისამდე მოულოდნელათ დააკავეს 30-მდე მუშათა წარმომადგენელი; ალბათ იმიტომ, რომ 13-სა და 14 ივნისს მოელოდენ დიდ პოლიტიკურ დემონსტრაციას. მეორე დღესვე ხალხი მივიდა პოლიციის ნაწილთან, სადაც დაკავებული იყვნენ მათი წარმომადგენლები, და ისე გადაჭრით მოითხოვა მათი განთავისუფლება, რომ ყველანი გამოუშვეს და ხალხმა თან წაიყვანა. ორშაბათს, 13 ივნისს, ი. ი. გენის სამეურნეო იარაღების ქარხნის წინ შეიკრიბენ ამ ქარხნის გაფიცული მუშები (900 კაცამდე) თავის დეპუტატებისაგან შესაწევრის მისაღებათ, რომელსაც ჩვეულებრივ ღებულობდენ გაფიცვის დროს სხვა ქარხნების მუშების შემოწირულებისაგან, მარა შესაწევრის მიღების მაგიერ მუშებმა გაიგეს, რომ მათი უფროსი დეპუტატი, მუშა ალექსეევი, დაეჭირათ; მასთან ერთათ შეუპყრიათ კიდევ რამდენიმე წარმომადგენელი. იმავე დროს, რომ ხელახლა არ გაეთავისუფლებიათ დაჭერილები, დილითვე დაებანაკებათ ყაზახები და ჯარი, რომლებმაც მოსთხოვა ხალხს დაშლილიყვნენ. მოხდა შეტაკება; გავარდა რევოლვერი; ხალხში ორი კაცი წაიქცა. შემდეგ ჯარმა ზალპი მისცა და რამდენიმე კაცი დაჭრა. მუშები დაიშალენ და არეულობა ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში გადაიტანეს. მთელი დღის განმავლობაში ბევრი რევოლვერი დაიცალა.—პროხოროვის ქუჩაზე ხალხის პოლიციასთან შეტაკების დროს გავარდა არა ნაკლებ ასი ტყვიისა ხალხი მუშაობას აჩერებიებდა ფაბრიკებში, სტამბებში თხოულობდა მაღაზიების დაკეტვას, აჩერებდა კონკის ვაგონებს, რამდენიმე ვაგონი კიდეც გადააბრუნეს და ცეცხლი წაუკიდეს. საღამოს ცენტრალურ ელექტრონის სადგურიდან მუშები გამორეკეს და ქალაქი წყვდიადმა მოიცვა. მთელი დღის განმავლობაში მოკლეს და დასჭრეს რამდენიმე პოლიციის მოსამსახურე. 14 ივნისს, სამშაბათს, არეულობა არ შეწყვეტილა, მარა, რადგანაც ქალაქში იქნა შემოღებულ სამხედრო დაცვის წესები, არეულობა მაინცა და მაინც დიდათ არ გავრცელებულა. ამ დღეების განმავლობაში გაისროლეს ორი ბომბი, რომელთაგან ერთმა მოჰკლა ერთი გოროდოვოი და თვით გამსროლი, ხოლო მეორემ, ეკატერინინის ქუჩაზე ეკატერინასა და რიშელიეს ძეგლებს შუა დასჭრა სამი პირი, რომელთაგან არც ერთი არ მომკვდარა.

ორშაბათს, 13 ივნისს, იმ დროს, როცა მუშებმა პირველათ დასცალეს რევოლვერები, ადესის პორტში ტენდრიდან (ყურეა ადესის ახლო) მოვიდა ნაღმოსანი ჯავშნიანი გემი „კნიაზ პოტიომკინის“ კამანდისათვის სანოვაგის საყიდლათ, ეს ნაღმოსანი და მასთან კიდე ორი სხვა ტენდრში იმყოფებოდა, პრაქტიკულ სროლაში სავარჯიშოთ. ჯავშნოსანის კამანდამ ნაღმოსნის დაბრუნების შემდეგ გაიგო ადესის ამბები. სანოვაგე ექიმმა თუმცა კი მიიღო, მარა უვარგისი გამოდგა და საღამოს გემის კამანდასთან საჩივრათ მოვიდა მატროსების დეპუტაცია. ისინი ჩიოდენ, რომ ბორშჩი მატლებიანი იყოო. ბორშჩის მომტანი ისე უკმეხათ ლაპარაკობდა, რომ კამანდირმა ჯერ რევოლვერი დასცა მას, შემდეგ მაჩროსს თოფი გამოართვა და მით სასიკვდილოთ დასჭრა დეპუტატი, რომელიც მალე გარდაიცვალა. გავარდა თუ არა თოფი, მატროსები მიესიენ კამანდირს და ზღვაში გადააგდეს. როგორც ამბობენ, „კამანდირი რომ ზღვაში ფართხალობდა, შეებრალათ და ტყვიით ჩაკლეს“. შემდეგ შეცვივდენ აფიცრების კაიუტაში, ოთხი-ხუთი მათგანი მოკლეს, მოკლეს აგრეთვე ექიმი, დასჭრეს გემის მღვდელი, დანარჩენები კი კაიუტ-კამპანიაში შეამწყვდიეს და დაატყვევეს. ჯავშნოსანის კომანდის აფიცერთაგან დაატყვევეს მხოლოთ ერთი მიჩმანი ალექსეევი, რომელ-

საც საომარ დროს აფიცერთა ნაკლებობის გამო დაბალ ჯარისკაცთა რიცხვიდან ახლათ ბოძებული ქონდა აფიცრობა.

საღამოს ხანს, 14-ს, „პოტიომკინი“ ორი ნაღმოსნით, რომელთა აფიცრებსაც იგივე ბედი ეწია, ადესას მოვიდა. დილით 15-ს მოკლული მატროსის ცხედარი ნაპირზე გამოიტანეს და განზრებ ამ შემთხვევისათვის გაკეთებულ ფარდულ ქვეშ დაასვენეს. მოკლულს გულზე ედვა წარწერა; „მატროსის (სახელი) ცხედარი, რომელიც მოკლა კამანდირმა იმიტომ, რომ მან იმას სიმართლე უთხრა. კომანდირს სამაგიერო გადახდა.“ ცხედარს დარაჯათ უდგა ერთი მატროსი «პოტემკინიდან». პოსტის დარაჯი, რომელიც ცხედართან მივიდა, მოკლა მან. ცხედართან უცებ შეგროვდა ხალხი. ადგილზე მოვიდა ყაზახების რაზმი; ხალხი იქით აქეთ მიდგა და ყაზახები ჯავშნოსანს პირის პირ დაუყენა. ჯავშნოსანზე იმავ წამს აამფრიალეს წითელი დროშა, ნიშანი საომარი სროლისა. ყაზახებმა და პოლიციამ უკან დაიხიეს და ნავთსადგური ხალხს დაუტოვეს. ნაპირზე გამოსულმა მატროსებმა ნავთსადგურის კამანდირს განუცხადეს, რომ, როგორც კი ხალხს ესვრიან თოფებს, ჯავშნოსნიდან მაშინვე ზარბაზნებს დაუშენთ ქალაქსაო. მატროსებმა გამოიხმეს მუშების დეპუტატები, მარა მოლაპარაკების შემდეგ ამათ მხოლოთ რამდენიმე კაცი მიიწვიეს, ამავე დროს თან წაიყვანეს გემი, რომელზედაც იყო ნახშირი და სანოვაგე. საღამოს სასმელი წყალი მოითხოვეს და მოუტანეს კიდეც.

დილიდან საღამოს ხუთ საათამდის ხალხი ნავთსადგურში მოზღვავდა; ცხედართან ამბობდენ სიტყვებს, მღეროდენ სარევოლიუციო სიმღერებს და ყვიროდენ „ურას“. მთავრობა და ჯარი არ ჭაჭანებდა. ხუთ საათზე კატერი მოვიდა და ცხედარი ჯავშნოსანზე წაიღო. ამ დროიდან დაიწყო ყველა საწყობების ძარცვა. მიათრევდენ ყველაფერს: აბრეშუმს, შამპანურს, ჩაის, ტანისამოსს და სხვ. და სხვ., ყოველივე ამას ეწიკებოდენ სავსე ტომრებით ქვეითათ და ეტლებით ქალაქში. საღამოს 9 საათზე, როგორც კი შებნელდა, სხვა და სხვა ალაგას ჩირაღდნები აანთეს, შემდეგ გაჩნდა ცეცხლი და ერთი საათის განმავლობაში ერთიანათ მოედვა საკაბოტაჟო ნავთსადგურის შიგნითა ნაწილს. მხოლოთ მაშინ მოვიდა ნავთსადგურში ჯარი, დაიჭირა ყველა ქალაქიდან ჩასავალი გზები, მოსჭრა უცხოელების ნავთსადგურის ნაწილი და დაუწყო სროლა აჯანყებულ ხალხს. სროლა გაგრძელდა დილის 4 საათამდის. ამ ხნის განმავლობაში სულ 30 ზალპი მისცეს, სათითაო გასროლა კი თვითეულ ცეცხლის წამკიდებლებზე 2000 ზე ნაკლები არ იქნებოდა. მთელი ღამე ვიდექი ალექსანდრეს პარკში და იქიდან ფვალყურს ვადევნებდი აბობოქრებულ ცეცხლის ზღვას- ხალხი «ურას», ყვიროდა ჯარი ზალპებით უპასუხებდა. დილის ხუთ საათზე ნავთსადგურიდან ხალხი გარეკეს, იქაურობა მოფენილი იყო მკვდრებით და დაჭრილებით, რომელთა რიცხვი, რასაკვირველია,—ბევრი ასეულია. საღამოს 16 ივნისს ყველა დაჭრილ-დახოცილების გატანა კიდევ ვერ მოასწრეს.

იმავე დროს, დღისით 14-ს, ერთი ნაღმოსანი გაგზავნეს ტენდრში, იქ დარჩენილ მოამბე გემთან. მოუახლოვდა თუ არა მას ნაღმოსანი, „პატიომკინმა“ სიგნალი მისცა: „კამანდირი იწვევს ბ.ბ. აფიცრებს ბორტზე“. აფიცრები რომ ბორტზე ავიდენ, მაშინვე ფორმის ტანისამოსი გახადეს, ჩააცვეს მატროსების ლურჯი პერანგები, თვითოეულს გემის ხაზინიდან ას ასი მანეთი მისცეს და ნაპირზე გადმოსხეს. აქედან ისინი ტყვეობიდან გათავისუფლებული ჯავშნოსანის ერთი აფიცერი ჯარის უფროსს გამოეცხადენ.

ღამით ქალაქში სამხედრო წესი გამოაცხადეს და მეორე დღეს საფლავისებური სიჩუმე სუფევდა. ქალაქი ბანაკს დაემზგავსა. აჯანყებულებმა ჯარის უფროსს განუცხადეს თავიანთი მოთხოვნილება: მოკლული ამხანაგი დიდებულათ დაესაფლავებიათ და გაეგზავნათ პეტერბურგს დეპეშა, რომ მათთვის ეპატიებიათ და კამანდირი გამოეცვალათ. ამასთან განაცხადეს, რომ ისინი მალე მოელიან დასახმარებლათ ორ ჯავშნოსანს. დასაფლავების ნება დართეს და ნავთსადგურში გაგზავნეს კატაფალკი და კარეტა. საღამოს ხუთ საათზე ნავთსადგურიდან მთელ ქალაქში გზის იქით აქეთ დარაზმულ ჯარებ შუა დაიძრა პროცესია, კატაფალკს ეხვია 20 აჯანყებული და უკან მოყვებოდა კარეტა, რომელშიაც იჯდა მატროსი და ერთი ვიღაც ევროპიულათ ჩაცმული კაცი. 8 საათზე, როცა დროს გამოანგარიშებით ცხედარი უნდა დაესაფლავებიათ, „პატიომკინიდან“ სამჯერ გაისროლეს მარტო წამლით დატენილი ზარბაზნები. ამას შემდეგ 9 საათზე ქალაქში გამეფებულ მკვდარ სიჩუმეში იგრიალა საომარმა ყუმბარამ, ათი წამის შემდეგ კიდევ მეორემ. აჯანყებულებმა ალბათ იფიქრეს, რომ დეპუტატებს დაიჭერდენო. შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა და ქალაქი წყვდიადმა მოიცვა, რადგანაც არც გაზი და არც ელექტრონი არ ენთო; ტელეფონის მავთულები დაწყვეტილი იყო და სადგურზე დეპეშებს არ იღებდენ.

ერთმა ყუმბარამ დაანგრია ნეჟინის ქუჩაზე № 71 სახლის ზევითა ნაწილი, მთელ დღეს ქალაქი მოჭრილი იყო პატრულებით განაპირა უბნებიდან, რომლებიც მუშა ხალხითაა დასახლებული და მდაბიო ხალხს ქალაქში არ უშვებდენ.

(Пр. В.).

## გერმანიის საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიიდან.

თარგმანი გაზ. „კომერჩ. როს.“.დან.

მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია გერმანიაში ამ ჟამათ ზედ მიწევნით განვითარებულია და მთელ დედა მიწაზე სამაგალითოთ ითვლება ამ ნაირ პარტიებთან შედარებით. არცერთ მხარეში არა აქვს სოციალ-დემოკრატიას ისეთი მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორიც გერმანიაში. არცერთ მხარეში არ ეშინია ბურჟუაზიას ამ პარტიის ისე, როგორც გერმანიაში. საინტერესოა თვალი გადავავლოთ იმ გზას, რომელიც განვლო ამ პარტიამ და გავითვალისწინოთ ის ცვლილებანი, რომელნიც განიცადა მან, სანამ დღევანდელ განვითარებამდი მიაღწევდა.

გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში მთელ ევროპაში გახშირდა ნაციონალისტების პარტიები; ამ პარტიებში მონაწილეობას იღებდენ ინტელიგენტები და მუშები და მათ მიზანს ხალხის წარმომადგენლობა შეადგენდა. ამნაირივე პარტია დაიბადა გერმანიაში და მოინათლა „ახალგაზრდა გერმანიის“ სახელით. მას მაინცა და მაინც დიდი გასავალი არ ქონდა მუშებში. ბევრათ მეტი გავლენა და მნიშვნელობა მოიპოვა კომუნისტურმა პარტიამ და აი, სწორეთ ეს პარტია წარმოადგენს ახლანდელ სოციალ-დემოკრატიული პარტიის სათავეს. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიზანია ახლანდელი კაპიტალისტური წესწყობილების სოციალისტურათ შეცვლა ე. ი. ისეთი წესწყობილების დამყარება, როცა საწარმოო იარაღი და საშვალებანი მშრომელი ხალხის, პროლეტარიატის ხელში გადავა. თავდაპირველათ ეს პარტია საფრანგეთში შესდგა, მარა იქ ფეხი ვერ მოიკიდა და გადავიდა გერმანიაში, სადაც ძალიან ბევრი მიმდევარი მოიპოვა. პარტიას პარიჟიდან უწევდენ ხელმძღვანელობას, იქ იმყოფებოდენ გერმანიიდან განდევნილი ემიგრანტები და სათავეში უდგენ პარტიის ორგანოს,

რომელსაც „წინ“ ერქვა სახელათ. საფრანგეთის მთავრობამ მალე რეპრესიულ ზომებს მიმართა პარტიის წინააღმდეგ, აკრძალა «მავნე მიმართულებისათვის“ გაზეთი და მეთაურები საფრანგეთიდან გააძევა. ახლა პარტიის მართვა-გამგეობა რეინის განაპირა ოლქიდან ხდებოდა, აქ ბეჭდავდენ და შემდეგ მთელ გერმანიაში ავრცელებდენ აკრძალულ გამოცემებს.

პარტიის კრების შემდეგ, რომელიც ლონდონში მოხდა 1846 წ., კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა პარტიის მონდობილობით დაწერეს განთქმული «კომუნისტური მანიფესტი,» რომელიც პროგრამათ მიიღო პარტიამ. ეს თხზულება უცებ გავრცელდა მთელ გერმანიაში და დიდი პატივი მოიპოვა. ის მოკლეთ და მკაფიოთ გამოთქვამს მთელ კომუნისტურ მოძღვრებას. კაპიტალისტური წარმოება თან და თან უფრო და უფრო ვითარდება; ამისდა მიუხედავათ მთელი კაცობრიობა იყოფა ორ ბანაკათ, რომელთა შორის უფსკრული სუფევს. ეს ორი ბანაკი ანუ ორი კლასი არის: ბურჟუაზია და კაპიტალისტი ერთი მხრით და პროლეტარიატი მეორე მხრით. ბურჟუაზია ანუ მყვლეფელთა მცირე რიცხოვანი ბრბო და პროლეტარიატი ანუ გაყვლეფილები. თანამედროვე მთავრობა, რა სახისაც უნდა იყოს იგი, წარმოადგენს ბურჟუაზიის ინტერესების დამცველ ორგანოს ანუ ბურჟუაზიის აღმასრულებელ კომიტეტს, ხოლო ბურჟუაზიის ინტერესები სრულიად ეწინააღმდეგებიან პროლეტარიატის ინტერესებს. პროლეტარიატმა, კაპიტალისტურ ექსპლოატაციას (გაყვლეფას) რომ თავი დააღწიოს, უნდა უსათუოთ ეცადოს ძალა თავის ხელში ჩაიგდოს, რათა მთავრობა მისი ინტერესების აღმასრულებელ კომიტეტათ გახდეს (დემოკრატიული რესპუბლიკა). დღევანდლამდი ყველა ისტორიული მოძრაობა იყო მოძრაობა უმცირესობისა უმცირესობისავე სასარგებლოთ, პროლეტარული მოძრაობა კი არის მოძრაობა დიდი უმრავლესობისა უმრავლესობის სასარგებლოთ. მოვა დრო როცა პროლეტარი შეიგნებს, რომ იგი არავის გაუჩენია ისეთ პირუტყვათ, რომელიც მუდამ უნდა ყვლიფოს ბურჟუაზიამ. პროლეტარიატის რაზმები თან და თან იზრდება, იმათ ავსებს გლეხები, რადგან კაპიტალიზმმა თავისი თათები სოფელშიაც შეყო, წვრილ ბურჟუაზიასაც გაჰკრა კლანჭები. პროლეტარული მოძრაობა მსოფლიო მოძრაობათ უნდა გადაიქცეს. მანიფესტი შემდეგი მოწოდებით თავდება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“, უწინდელ „ყველა ადამიანები ძმებია“ს მაგიერ.

როგორც ზევით ვსთქვით მანიფესტი აღტაცებით მიიღო გერმანიის მუშა ხალხმა და სწორეთ ეს მანიფესტი იყო 48 წ. მარტის რევოლიუციის ერთერთი მიზეზი. გერმანიაში იყო ისეთი კანონმდებელი პალატა, რომელიც საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი კენჭის ყრის წესებით არ ხელმძღვანელობდა არჩევნების დროს და ეს გარემოება, რასაკვირველია, მხოლოთ ბურჟუაზიისათვის იყო ხელ-საყრელი. კომუნისტური პარტიის ბელადები მიხვდენ, რომ, რაც უნდა ცდილიყვენ, თავის დეპუტატს მაინც ვერ გაიყვანდენ კანონმდებელ კრებაში და ისარგებლეს კრების და სიტყვის თავისუფლებით თავის აზრების გასავრცელებლათ. ორი კვირის შემდეგ დაარსდა „გერმანიის მუშათა კავშირი“, რომლის მოთხოვნები განსაკუთრებით ეკონომიური ხასიათის იყო—მაგ., 8 საათის სამუშაო დღე, წესიერი ქირა, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობა და სხვა. ამ კავშირმა ორი წელიწადი გასძლო. ამავე დროს მარქსის და ენგელსის ხელმძღვანელობით სწრაფათ იზრდებოდენ და ვითარდებოდენ ნამდვილი სოციალისტური კავშირები, რომელთაც გერმანიის ყველა ადგილებში მოიკიდეს ფეხი. ამ კავშირებს ქონდა თავისი ორგანო „რეინის ახალი გაზეთი“, რომელშიაც მარქსმა და ენგელსმა საუკეთესო სტატიები მოათავსეს. 1850 წელს დაწყებულმა რეაქციამ მოსპო ეს კავშირები, და ამ დროიდან მოკიდებული 1860 მდე გერმანიაში სრულებით აღარა სჩანს სოციალისტური მოძრაობა. მარა 1860 წელს, როცა გერმანიის მრეწველობის შესამჩნევი ზრდა დაიწყო და მრეწველობის ზრდასთან ერთათ პროლეტარიატის რიცხვმაც ძლიერ იმატა, დაიწყო სოციალისტური მოძრაობაც.

ყველაზე უფრო ცნობილ სოციალისტური პარტიათ მაშინ (1860—1870) „ინტერნაციონალი“ ითვლებოდა. ამ პარტიამ მიიღო 1848 წ. კომუნისტური პროგრამა: მთელი ქვეყნის პროლეტარების შეერთება საწარმოვო იარაღების კოლექტიურ საკუთრებათ გადასაქცევათ. „ინტერნაციონალი“ დაარსდა ლონდონში რომელიც მაშინ გაძევებულ კომუნისტთა ბუდეს წარმოადგენდა: იქ იყვენ მარქსი, ლიბკნეხტი და ენგელსი, მარა ყველაზე უფრო ამ პარტიის მოძღვრება გერმანიაში გავრცელდა. პარტიის პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული კლასთა ინტერესების სრულ წინააღმდეგობაზე. ბურჟუაზიის და პროლეტარიატის კლასთა ინტერესებს შორის სუფევს სრული წინააღმდეგობა და ამისათვის მუშათა კლასის კაპიტალიდან დახსნა მხოლოთ მუშათა კლასს შეუძლია. ეკონომიური გათავისუფლება მუშათა კლასისა არის საბოლოო მიზანი, რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს პოლიტიკური მოძრაობა, როგორც საშვალება. ეს მოძრაობა ერთნაირათ სასარგებლო და საჭიროა ქვეყნებისათვის, სადაც დღევანდელი საზოგადოება სუფევს. გერმანიაში „ინტერნაციონალისტთა“ პარტიამ მრავალი მიმდევარი იშოვა. მეტათ დააწინაურა სოციალისტური მოძრაობა შესანიშნავმა ორატორმა და ნიჭიერმა ბელადმა—ლასალმა. 1853 წ. ქ. ლეიპციგში გერმანელ მუშებმა მოიწვიეს კონგრესი, რათა გამოერკვიათ მუშათა კლასის მდგომარეობა. როცა ლასალს სთხოვეს თავისი აზრიც გამოეთქვა გერმანიის პროლეტარიატის მდგომარეობის შესახებ, მან ღია წერილით მისცა პასუხი ამ წინადადებაზე. ამ წერილში ის ურჩევდა მუშებს ერთ ძლიერ მუშათა პარტიათ შეერთებას ბურჟუაზიულ პარტიებთან დამოუკიდებლივ. ლასალის ხელმძღვანელობით დაარსდა გერმანიის მუშათა საერთო კავშირი. ამ მუშათა კავშირის მიზანიც იმ ნაირივე იყო, როგორც „ინტერნაციონალის“, ესე იგი კაპიტალისტური წარმოების—საზოგადოებრივ წარმოებათ შეცვლა, მარა გზა, რომელიც ლასალმა აირჩია ამ მიზნის გასახორციელებლათ განსხვავდებოდა მარქსის და ენგელსის გზიდან. ლასალს უნდოდა მიეხწია თავის მიზნისათვის ნაციონალური სახელოსნოების საშვალებით, სადაც მუშებს თავიანთ სასარგებლოთ უნდა ემუშავნათ. გარდა ამისა მარქსის და ენგელსის „ინტერნაციონალი“ კოსმოპოლიტური ხასიათის იყო, ლასალის მუშათა კავშირი კი, სხვათა შორის, ყველა ნემცების ერთ მთავრობის ქვეშ გაერთიანებას მოითხოვდა. ლასალის კავშირმა ძალიან ბევრი მომხრეები იშოვა, მარა მას შემდეგ, როცა გატაცებულმა ბელადმა, ლასალმა, ბისმარკთან მოლაპარაკება დაიწყო გერმანიის მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, კავშირს ჩამოშორდენ „ინტერნაციონალისტები“ და ამ ნაირათ კავშირის მომხრეთა რიცხვი დღითი დღე კლებულობდა.

ლასალის სიკვდილის შემდეგ (1864 წ.) კავშირის მნიშვნელობა სამუდამოთ დაეცა.

1868 წ. ინტერნაციონალისტებმა მოიწვიეს კრება ეიზენახში; ამ კრებას ლასალის კავშირის წარმომადგენლებიც დაესწრენ. აი აქ დაარსდა „სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“. ამ პარტიის პროგრამა, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პროგრამას შეადგენს, მარქსმა შეიმუშავა

და უმეტესობამ მიიღო კიდეც იგი. მაშინ მარქსს გამოქვეყნებული ქონდა თავისი სისტემა, რომელიც მის „კაპიტალშია“ მოთავსებული.

პარტიის მიზანია წარმოების თანამედროვე წესების მოსპობით (დაქირავებული შრომა) ყველა მშრომელს თავის შრომის ნაყოფი უკლებლივ მისცეს. მუშათა კლასის თავისუფლებისთვის ბრძოლა კლასობრივ შეღავათებისა და უპირატესობისათვის ბრძოლა როდი არის, არამედ არის ბრძოლა თანასწორ უფლებათა და მოვალეობათა მოპოებისათვის და ყოველივე კლასობრივ ბატონობის მოსასპობლათ. მუშების განთავისუფლება არის სოციალური და არა ადგილობრივი და ნაციონალური კითხვა. დანარჩენი მხრით სოციალ-დემოკრატიული პარტია თითქმის სავსებით ეთანხმება კომუნისტურ პარტიას. პროგრამის პრაქტიკული ნაწილი ამ ნაირია: საყოველთაო საარჩევნო უფლება ყველა იმ პირთათვის, ვინც 21 წლის გახდება, ხალხის წარმომადგენელთათვის სასყიდლის აუცილებლობა, რეფერენდუმი, ყველა კლასობრივი, რელიგიური და შთამომავლობითი უპირატესობის გაუქმება, სახალხო მილიცია, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, სკოლის-ეკლესიისაგან, სავალდებულო და უსასყიდლო სწავლება, ნაფიცთა მუქთი სამსჯავრო, საქმის გარჩევა ხალხის თანდასწრებით, ფარული, არა პირდაპირი გადასახადის მოსპობა და სამაგიეროთ შემოსავლის დაგვარი გადასახადების შემოღება; ბეჭდვის, სიტყვის, კრებების, კავშირების თავისუფლება; პიროვნების და ბინის ხელ შეუხებლობა; ყველას თანასწორობა კანონის წინაშე, მუშათა მდგომარეობის დაუყონებლივ გასაუმჯობესებლათ აუცილებლათ საჭიროა რვა საათის სამუშაო დღე, სამუშაო ქირის მინიმუმი, ქალების შრომის შემოკლება და ბავშვების—გაუქმება, გაფიცვათა თავისუფლება და სახელმწიფო შემწეობა სახელმწიფო მუშებს და სახელოსნოებს. ეს უკანასკნელი მუხლი შეიტანეს ლასალის კავშირის მუშათა მოსამხრობათ.

მარა ლასალის კავშირმა არ ისურვა პარტიაში შესვლა და 1875 წლამდის ეს ორი ორგანიზაცია ცალ-ცალკე არსებობდა. ამ წელს კი გოტის კონგრესზე ორივე პარტია შეერთდა და ამნაირათ დაარსდა საერთო „გერმანიის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია“. პარტიის პროგრამა თითქმის იგივე დარჩა, როგორიც ეიზენახის კონგრესზე იყო მიღებული 1869 წ. მხოლოთ რამოდენიმე ეკონომიური მოთხოვნებით შეავსეს პროგრამა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ხელ ახლა პარტიის მიზანს: „პარტია ყველა კანონიერ საშვალებით სარგებლობას, რათა მოიპოვოს თავისუფალი სახელმწიფო და სოციალისტური საზოგადოება, დაქირავებული შრომის მოსპობით გააუქმოს სამუშაო ქირის რკინის კანონი, მოსპოს ყოველივე სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობა. თუმცა ჯერ-ჯერობით პარტია ერთი ეროვნების სახელმწიფოს ფარგალში მოქმედობს, მარა არამც და არამც არ ივიწყებს მოძრაობის მსოფლიო ხასიათს“.

შეერთებული პარტიის აგიტაციამ დიდი გასავალი იშოვა გერმანიის მუშათა შორის და ყველგან ბევრი მომხრეები მოიპოვა. გერმანიის სოც.-დემოკრ. პარტია ნიმუშათ გახდა ბევრ სხვა სახელმწიფოებისათვის, სადაც ამნაირსავე პარტიებს აარსებენ ამნაირივე პროგრამით. (Прив. Кр.).

---

## ბურჟუა და პროლეტარი!

(თარგმანი)

საზოგადოების მთელი ისტორია დღემდის კლასთა ბრძოლის ისტორია იყო.

თავისუფალი და მონა, პატრიცი და პლებეი, ბატონი და ყმა, ამქარის ხელოსანი და ქარგალი, მოკლეთ, მჩაგვრელი და დაჩაგრული მუდამ მტრული თვალით უყურებდენ ერთმანერთს და მათ შორის განუწყვეტელი ომი იყო გაჩაღებული,—ხან აშკარა და ხან ფარული. ეს ომი საზოგადოებრივი შენობის ხელახალი აგებით თავდებოდა ყოველთვის, ან არა და ორივე მებრძოლი კლასი ერთათ იღუპებოდა.

წარსულ ისტორიულ ხანებში, როგორც ჩანს, საზოგადოება თითქმის ყოველგან დაყოფილი იყო სხვა და სხვა წოდებათ, ასე რომ ის წარმოადგენდა სხვა და სხვა საზოგადოებრივ მდგომარეობათა კიბეს. ძველ რომში ამ კიბეს შეადგენდენ პატრიციები, მხედრები და პლებეები; საშვალო საუკუნეებში—ბატონები, ვასალები, ამქრის ხელოსნები, ქარგლები და ყმები. თითოეული ამ კლასთაგანი კიდევ სხვა და სხვა ნაწილათ იყოფოდენ.

თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომელიც ფეოდალურ საზოგადოების ნანგრევებზე აღმოცენდა, კლასთა წინააღმდეგობა არ მოუსპია. მან მხოლოთ დაძველებული კლასების მაგიერ ახალი წამოაყენა, ძველებური ჩაგვრის წესები გააუქმა და ახალი შემოიღო, ბრძოლის დრო-გასულ ფორმების ბადლათ ახალი ფორმები აღმოაჩინა.

თანამედროვე ბურჟუაზიული ხანის დამახასიათებელია კლასთა წინააღმდეგობის გამარტივება. ამ ჟამათ საზოგადოება, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ორ ვეებერთელა მოპირდაპირე ბანაკათ იყოფა; ეს ორი ერთმანერთზე ამხედრებული კლასი არის ბურჟუაზია და პროლეტარიატი.

საშვალო საუკუნეთა ყმებისაგან გამოითიშა ის ნაწილები, რომელმაც პირველი ქალაქის თემები შექმნა; ხოლო მაშინდელ მოქალაქეებისაგან განვითარდა ბურჟუაზიის შემქნელი ელემენტები.

ამერიკის აღმოჩენამ და აფრიკის გარეშემო ზღვაზე მგზავრობამ ახალი ასპარეზი შექმნა მოზარდი ბურჟუაზიისათვის. დასავლეთ-ინდოეთის და ჩინეთის ბაზარმა, ამერიკის დასახლებამ, ახალ შენებთან აღებ-მიცემობამ, აღებმიცემობის იარაღთა და საქონელთა გამრავლებამ სწრაფათ წასწია წინ ვაჭრობის, ზღვაოსნობის და მრეწველობის განვითარება; და აი ყველა ამისდა მიხედვით გახრწნილ ფეოდალურ საზოგადოებაში გაჩნდა და გაიზარდა რევოლიუციონური ელემენტები.

წარმოების ფეოდალურ ანუ ამქრულ წესებს, რომელიც იმ დროს სუფევდა, აღარ შეეძლია ახალ ბაზრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამ წესების ალაგი მანუფაქტურამ დაიჭირა. მრეწველთა საშვალო წოდებამ განდევნა ამქრის ხელოსნები. ამქართა შორის შრომის დანაწილება გაქრა და ახლა შიგ სახელოსნოში დანაწილდა შრომა.

მარა ბაზარი თან და თან ფართოვდებოდა, მოთხოვნილება უფრო და უფრო მატულობდა. ახლა ვეღარც წარმოების მანუფაქტურულ წესებმა დააკმაყოფილა გაძლიერებული მოთხოვნილება. მაშინ ორთქლმა და მანქანამ რევოლიუცია მოახდინა მრეწველობაში. მანუფაქტურის ალაგი დიდმა მრეწველობამ დაიჭირა; საშვალო წოდების—მილიონერ-მრეწველებმა, ამ სამრეწველო ლაშქართა წინამძღოლებმა, ე. ი. თანამედროვე ბურჟუებმა.

დიდმა მრეწველობამ შექმნა მსოფლიო ბაზარი, რომელიც მოამზადა ამერიკის აღმოჩენამ. მსოფლიო ბაზარმა გამოიწვია ვაჭრობის უჩვეულო განვითარება, ზღვისა და ხმელეთის გზების გაუმჯობესობა. ამ გარემოებამ ხელახლა გავლენა იქონია მრეწველობის განვითარებაზე. მრეწველობის, ვაჭრობის, ზღვაოსნობის და რკინის გზის განვითარებასთან ერთათ სწორეთ ამავე სისწრაფით იზრდებოდა ბურჟუაზია თავისი კაპიტალებით

და თან და თან ჩრდილავდა საშუალო საუკუნეებიდან ახალ საზოგადოებაში გადმოსულ კლასებს.

ამნაირათ, ჩვენ ვხედავთ, რომ ბურჟუაზია არის ისტორიული განვითარების გრძელი მსვლელობის ნაყოფი, ნაყოფი წარმოების განახლებათა მთელი რიგისა.

ბურჟუაზიის განვითარების თითოეულ საფეხურს თან ახლდა მისი ახალი პოლიტიკური გამარჯვებაც. ის ხან ფეოდალთა მტარვალობის მეოხებით ჩაგრულ წოდებას წარმოადგენდა, ხან მჭიდროთ შეკავშირებულ თვით-მმართველ კომმუნის სახით შეიარაღებული ასოციაცია იყო, აქ ქალაქის რესპუბლიკის სახელი მოეპოებია, იქ მესამე გადამხდელ წოდებაში ითვლებოდა; შემდეგ, მანუფაქტურულ ხანაში, აზნაურობის მოპირდაპირე ძალას წარმოადგენდა თვითმპყრობელ და წოდებათა წარმომადგენლობით შეკვეცილ მონარქიებში, საზოგადოთ კი ბურჟუაზია წარმოადგენდა დიდ სამეფოთა დედა-ბოძს. მაგრამ, დაიბადა თუ არა მსხვილი მრეწველობა და მსოფლიო ბაზარი, მან როგორც იყო, ხელში ჩაიგდო თანამედროვე კონსტიტუციონურ სახელმწიფოთა პოლიტიკური ძალა, რომელსაც ის ოდნავაც არ უთმობს სხვა რომელიმე კლასს. თანამედროვე სახელმწიფოების მთავრობა არის ბურჟუაზიის საქმეების მოსაგვარებლათ ამორჩეული კომიტეტი.

ბურჟუაზია ისტორიაში მეტათ რევოლიუციონურ როლს თამაშობდა.

ყველგან, სადაც კი გაბატონდა იგი, დაანგრია ის ძველი პატრიარქალურ-იდილიური ურთიერთობა, რომელიც ფეოდალურ ხანაში სუფევდა. უმოწყალოთ გასწყვიტა ის მრავალფეროვანი ფეოდალური ძაფები, რომელიც მონა მორჩილ ადამიანსა და მრისხანე ბატონს შუა იყო გაბმული, და ადამიანთა ურთიერთობაში მხოლოთ ერთათ ერთი კავშირი დატოვა—მშრალი ანგარიშიანობა და გულგრილი „ნაღდიანობა“. ეგოისტურ ანგარიშის გაყინულ მორევში ჩაახრჩო მან რელიგიოზური აღმაფრენა, რაინდული აღფრთოვანება და წვრილი ბურჟუას გულჩვილობა. ადამიანის პიროვნების ღირსება და პატიოსნება უბრალო საალებ-მიცემო ღირებულებათ აქცია, კეთილ-შენაძენ თავისუფლებათა უთვალავი რიცხვი მოსპო და მათ ადგილას წამოასკუპა ერთათ ერთი, ყოველგვარ იდეალურ მოსაზრებას მოკლებული, თავისუფლება—თავისუფლება ვაჭრობით. ერთი სიტყვით, მანამდელ გაყვლეფას პოლიტიკური და რელიგიოზური ილიუზიების ნიღაბი ჩამოაცალა და აშკარათ დაანახვა ქვეყანას თანამედროვე პირდაპირი, უგულო და ურცხვი გაყვლეფა.

ბურჟუაზიამ ახადა შარავანდედი ყველა იმ მოღვაწეობას, რომელსაც მანამდი დიდი მოკრძალებით და პატივის ცემით უცქეროდენ: ექიმი, ვექილი, მღვდელი, მგოსანი, და მეცნიერი დაქირავებულ მუშავებათ გაიხადა მან.

ოჯახურ ბედნიერებას ბურჟუაზიამ შემოახია ნაზი, გრძნობით სავსე ლოლბანდი და ფულის ანგარიში უბრალო საქმეთ აქცია.

ბურჟუაზიამ ცხადყო საშვალო საუკუნეებში გამეფებული სიზარმაცე და უძრაობა, რომელსაც დღესაც ალტაცებაში მოყავს რეაქციონერები; ეს სიზანტე ტლანქი ძალ-ღონის დამატებას შეადგენდა მანამდი. მან პირველმა დაანახვა ქვეყანას, თუ რა ნაყოფის გამოღება შეუძლია ადამიანის მოქმედებას. მისი ხელოვნების სასწაულ-მოქმედება არსებითათ განირჩევა ეგვიპტის პირამიდების, რომის წყლის მილების და გოტიურ ტაძრებისაგან. მისი გამარჯვების ნაყოფს საერთო არაფერი აქვს ხალხთა გადასახლებასთან და ჯვაროსანთა გალაშქრებასთან.

ბურჟუაზიას არ შეუძლია არსებობა ისე, რომ არ გამოიწვიოს შრომის იარაღთა და, მაშასადამე წარმოების წესების განახლება; საზოგადოთ, ის არსებობს, მანამ იცვლება ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობა. პირიქით, ძველი მრეწველი კლასები მხოლოთ იმ დრომდი განაგრძობდენ თავის არსებობას, სანამ წარმოების ძველი წესები იყვენ ძალაში. წარმოების წესთა მუდმივი ცვალებადება, შეუჩერებელი რყევა საზოგადოებრივ წყობილებისა, განუწყვეტელი მოუსვენრობა და ტოკვა, არასოდეს—მომავალის ნდობა,—აი რა ახასიათებს ბურჟუაზიას, აი განსხვავება ბურჟუაზიასა და ყველა წინანდელ ხანებს შორის. ყველა ფეხმოკიდებული და გაქვავებული სოციალური დამოკიდებულებანი და მათი შესაფერი, საუკუნოებით გამეფებული, პატივსაცემი შეხედულებანი და იდეები—იმსხვრევა, ახლები კი ძველ ნანგრევებზე აღმოცენებული—ძველდება, სანამ მჭიდროთ მოიკიდებდეს ფეხს.

რაც რომ წოდებრივი და უძრავი იყო—ირყევა, რაც რომ წმიდათა წმიდათ ითვლებოდა—იგინება და ილახება, და აი ადამიანები იძულებული ხდებიან ფხიზელი თვალით შეხედონ ერთმანეთ შორის დამოკიდებულებას და თავიანთი ცხოვრების პირობებს.

უფრო და უფრო მეტი საქონლის გასაღების მოთხოვნილებამ მთელი დედამიწა შემოარბენია ბურჟუაზიას. მან ყველგან გაიკაფა გზა, ყველგან მჭიდროთ გაიდგა ფესვები, ყველგან გაიკეთა კავშირი.

რახან მსოფლიო ბაზარი გამოიყენა ბურჟუაზიამ თავის სასარგებლოთ, ამით ყველა ქვეყნების წარმოება და მოხმარა კოსმოპოლისტურათ გადაქმნა. რეაქციონერების სავალალოთ ნაციონალური ნიადაგი გამოაცალა მან მრეწველობას. ძველი, ნაციონალური მრეწველობის დარგები ან სრულიად მოისპო, ან და თანდათან უფრო იღუპება. მრეწველობის ახალი დარგები აძევებენ მათ, და ყველა განათლებულ ქვეყნებში თითონ ხდებიან ცხოვრების აუცილებელ პირობებათ. ახალი წარმოება ადგილობრივ დაუმუშავებელ მასალას კი აღარ ხმარობს, არამედ შორეულ ქვეყნებიდან შემოტანილს. მეორე მხრით, ადგილობრივ საქონელს მარტო იქაურები როდი ხმარობენ, არამედ ეს საქონელი დედამიწის ყველა კუთხეებს ეფინება...

მანამდელი მოთხოვნილებები, რომელთაც ნაციონალური წარმოების საქონელი აკმაყოფილებდა, მოისპო; სამაგიეროთ დაიბადა ისეთი მოთხოვნილებები, რომელთა დასაკმაყოფილებლათ სულ სხვა და სხვა ჰავის და შორეული ქვეყნების ნაწარმოებია საჭირო. დაძველებულ ეროვნულ კარჩაკეტილობის მაგიერ, როცა თითოეული მხარე თითონვე აკმაყოფილებდა თავის თავს, გაჩაღდა მსოფლიო აღებ-მიცემობა და ყველა ერების ურთიერთ შორის დამოკიდებულება.

ასეთ დამოკიდებულებათა მიზეზით გონებრივი შრომის ნაყოფსაც იგივე ბედი ეწია, რაც ნივთიერი შრომის ნაწარმოებს. რომელიმე ერთი ერის გონებრივი მოღვაწეობის ნაყოფი საზოგადო კუთვნილებათ ხდება. ახლა და ახლა თან და თან შეუძლებლათ ხდება ეროვნული ფარგალი და ცალმხრივობა; მრავალი ეროვნული და ადგილობრივი ლიტერატურა, რაც დრო გადის, ერთ მსოფლიო ლიტერატურათ იქცევა.

წარმოების იარაღთა სწრაფი გაუმჯობესობით და მიმოსვლის საშუალებათა გაადვილებით ყველა ერებს, ასე გასინჯეთ, თვით ველურებსაც კი განათლების გზაზე ერეკება ბურჟუაზია.

საქონლის დაბალი ფასები, ეს ის მძიმე არტილერიაა ბურჟუაზის ხელში, რომლის მეოხებით ყველა ჩინურ კედლებს ანადგურებს იგი და ქედს ახრევინებს ბარბაროსების უჯიუტეს მძულვარებას უცხოელებისადმი.

დამნებდით, თორემ გაგსრესთ, ბრძანებს იგი და მუქარით

შეშინებული ერები, ყველანი წარმოების ბურჟუაზიულ წესებს კიდებენ ხელს. ერთი სიტყვით ბურჟუაზია აშენებს ახალ ქვეყანას თავის სახისა და მსგავსებისამებრ.

— ბურჟუაზიამ სოფელი ქალაქს დაუმორჩილა. ვეებერთელა ქალაქებს სიცოცხლის ძალა ჩაბერა ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი უმაღლეს ხარისხამდე გაამრავლა სოფლებთან შედარებით. ამ გვარათ ქვეყნის მცხოვრებთა უმრავლესობა გამომათაყვანებელ პირობებიდან დაიხსნა. დაუმორჩილა რა სოფელი ქალაქს და ნახევრათ გავერანებული ხალხი განათლებულს, ამასთან ერთათ მან მუშა ხალხი—გლეხები, მრეწველებს—ბურჟუებს დაუქვემდებარა, აღმოსავლეთი დასავლეთის ბატონათ გახადა.

(შემდეგი იქნება).

## საფრანგეთის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში.

დასასრული *).

პირველი ბრძოლა გაიმართა პიუჟოლის მიერ აგებულ ბარიკადებთან, სენდენის შესავალთან. პირველი შეტევა დაიწყო საერო მილიციამ, რომელსაც ბარიკადებიდან და ახლო-მახლო სახლების ფანჯრებ—სახურავებიდან წამოსული ტყვია ჩალასავით სხეპდა. მილიცია უკან იწევა, აჯანყებულნი ტოვებენ საფარს და მილიციას მისდევენ, იმართება ხელ ჩართული ომი, რასაც ბარიკადებიდგან გადმოყურებს მეთაური წითელი დროშით და თავის ჯარს კამანდობს. მას ხვდება ტყვია და მკვდარი დროშით დაბლა ეცემა. უცებ მის ალაგს იჭერს ახალგაზდა ქალიშვილი, წამოატანს ხელს წაქცეულ დროშას და მებრძოლთ მაღლიდან ამხნევებს. მის დანახვაზე მტერნი უცეფ შეკრთებიან' სროლას აჩერებენ და ხელით ანიშნებენ წადი, დაიმალეო! ქალი უარზეა და მაშინვე განგმირული დაბლა ეცემა. აი მის ალაგას ამოდის ხნიერი ქალი, ცოლი პირკელის და დედა მეორის, წაქცეულ ბაირაღს ისევ აფრიალებს და მტერთა ტყვიას ქვის სროლით უპასუხებს ისიც ჩქარა ეცემა. მილიცია უკან იწევს, მარა ისევ ჩქარა ბრუნდება, ჯართან ერთად და ბარიკადას იერიშით იღებენ. მობარიკადენი იწევიან უკან, სხვა ბარიკადების მოსაშველებლათ, სადაც ბრძოლა ისევ გრძელდება. აქ ლამორსიეს ჯარი მოიმწყვდა ბორიკადებს შუა და ორპირი ცეხლით შეწუხებული კოვენიაკს თხოვს ახალი ჯარით დახმარებას. კოვენიაკი ლამარიონსთან ჟიულფაკრთან და მრავალ დეპუტატებთან ერთად მიდის ბულვარებით სენდენის უბანში შესასვლელათ და ლამარსიეს გამოსახსნელათ. ის შეეჩეხება სენმორას ქუჩას პირველ ბარიკადს და თავის შვიდ ბათალიონს უბრძანებს იერიშით აღებას. ე'ჯენი ცყაჩალურათ სამჯერ შეესევიან და სამივე ჯერ უკუ იქცევიან, აჯანყებულთა ტყვია მათ ანადგურებს. კავენიაკი უბრძანებს ზარბაზნები! დაშენას, მეზარბაზნენი და ცხენები დაჭრილნი ეცემიან; კავენიაკი გზავნის ჯარს ბარიკადის უკანიდან შემოსარებათ, მარა ამაოთ; შემოსარები დახშულია. ის ლამორისიეს დასახმარებლათ წამოსული იმედებით, ლამორისიეს სთხოვს დახმარებას, და მართლაც, ლამორისიეს თავს აღწევს თავის გაჭირვებულ მდგომარეობას და თავისი ჯარის ერთ ნაწილს კოვენიაკს უგზავნის. მხოლოთ საღამოს ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ, კოვენიაკმა აიღო ეს ბარიკადა; აქ მას მოუკლეს და დაუჭრეს 300 სალდათი, ხოლო ღენერლები ფრანსუა და ფუშე დაიჭრენ. მინისტრი იმედ-დაკარგული ბრუნდება მთავრობის ბინაზე, სადაც აჯანყებულთა ძლიერებით შეშინებულ ლედრიუ-როლენს კოვენიაკის დაუკითხავათ ტელეგრამით გამოეწვია პროვინციიდან მილიცია, ჯარები და ასე გასინჯეთ, ბრესტის და შერბურგის ზღვაოსნებიც კი!

გადავიდეთ ცენტრში, ბოლის ჯართან. ეს ჯარი შესანიშნავია მით რომ მას კამანდრობენ ძველი ცნობილი რევოლიუციონერები, წინანდელ მთავრობის მიერ არა ერთხელ დატანჯულნი და წამებულნი. ესენია პოლკოვნიკი გინარი, დეპუტატი რუკესტი, ბიკსის და სხვა. გინარი სანამ მუშებთან ბრძოლას გადაწყვეტდა მივიდა ნაამხანაგარ კავენიაკთან თავისს მოსალაპარაკებლათ. „რა უნდა ვქნათ, რასგვიბრძანებ შენ? რას მოითხოვ ჩემგან? ეკითხება ის მინისტრს. ჩვენ უნდა წავიდეთ და ვებრძოლოთ იმ ხალხს, რომლის გვერდით მუდამ ვიბრძოდით? შეგიძლია მაინც შენ მე დამიფიცო, დამიფიცო ღვთის წინაშე,;შენი მამი და ძმის სახელით, რომ ჩვენ მივდივართ რესპუბლიკის დასაცველათ?“ კოვენიაკი უფიცავს და გინეც ხმალს ისხამს რევოლიუციის წინააღმდეგ! კოვენიაკმა ცრუობაზე დაიფიცა! განა შეიძლებოდა რესპუბლიკა უპროლეტარატოთ? მის დამარცხებას განა რესპუბლიკის დამარცხება არ უნდა მოყოლოდა? დიახ, კოვენიაკის ფიცი, ეს მომავალი ტახტის გამზადებაა, სადაც თვითონაც უნდა დაცემულიყო...

გინარი მიდის ბოლოს ჯარში და ჩაიბარა თავისი პოლკი. ბოლის მიზანია საბჭოს არემარის დაცვა, სენჟაკის ქუჩის ბარიკადებიდან გაწმენდა და პანტეონთან ღენერალი იამესთან შეერთება. ის უკვე მოემზადა დასაძრავათ, რომ უცებ აჯანყებულთ დეპუტაცია მოვიდა—„ღენერალო, ხალხს სურს საბჭოს აღება და საერო კრების დაშლა. რაც მას სურს—ნებით ან ძალით მიიღებს ხალხი....“ მოწყალეო ხელმწიფევ, გააწყვეტია ბელომ, მე არ ვცნობ ხხვა ხალხს, გარდა ამისა, რომელმაც საერო კრება აირჩია. რაც შეეხება მხედრობას—ის თავის მოვალეობის ერთგულია და ამას ახლავე დაგანახვებსთ თქვენი ბარიკადების აღებით.» დეპუტაცია გაჯავრებული წავიდა. ბოლიმ ერთი შეტევით აიღო სენჟაკის პირველი ბარიკადა, მარა მაშინვე დაკარგა და ჯარის ერთი ნაწილი აჯანყებულებმა შუაში მოიმწყდიეს. აქ გინარი და მისი ძველი მეგობრები პირის პირ შეხვდენ, ერთი ბურჟუაზიის მეორენი პროლეტარიატის ბანაკში. ნახევარი საათის უმოწყალო სისხლის ღვრის შემდეგ პირველ ბარიკადებს დასცეს ზარბაზნები და გაარღვიეს. მობარიკადენი შეცვივდენ სახლებში და იქიდან იბრძოდენ. ბოლოს უტყვია წამლოთ დარჩენილთ შეესევიან «მოძრავი მილიცია», ეს «ხალხის შვილნი» და უიარალო ხალხს ზოგს ოთახში ხოცვენ; ზოგი ქუჩაში გამოაქვთ და შეუბრალებლათ ხოცვენ, მათ სიმხეცეს გადურჩა მხოლოთ ერთი, რომელმაც ქვეყანას ამცნო ამ ბოსიაკების საზიზღარი სილაჩრე. არც ერთ ჯარს იმდენი შემაძრწუნებელი საქმე არ ჩაუდენია, რამდენიც ამ მაწანწალეებმა ჩაიდინეს.

ბოლის ჯარი მაუხედავათ ორპირი ცეცხლისა შეუდგა შესჟაკის ქუჩის 34 ბარიკადების აღებას. მარა ორი საათის ბრძოლის შემდეგ უკან ბრუნდება მეორე დღისთვის მოსამზადებლათ. დაიჭრა თვით ბოლი, დეპუტატი ბიკსიო, და მრავალი ოფიცრები.

სენის მარცხენა მხარეს, პანტეონის წინააღმდეგ იბრძოდა ჯარები და მილიცია არაგოს მეთაურობით. არაგო მიუახლოვდა პირველ ბარიკადას მოსალაპარაკებლათ, მას შემოხვდენ რამდენიმე მობარიკადენი, რომელთაც არაგომ მიმართა რესპუბლიკას დამორჩილდითო და სხ. „თქვენ ჩვენთან ერთათ იბრძოდით ბარიკადაზე 1832 წ., მოიგონეთ სენმერი“—შემოსძახა მუმამ. „კმარა ლაპარაკი, ჩვენ საქმე გვე-

*) იხილე მოგზ. № 23.

ქივრება“, დაუმატა მეორემ. არაგომ შეაქო რესპუბლიკა, ყველაფერს აგისრულებთო. „რამდენი რა დაგვპირდენ, მარა არც ერთი არ შეუსრულებიათ“—მიუგო ვილაცამ „თქვენ არ გაქვთ ლაპარაკის უფლება, თქვენ არასოდეს არ მოგშივნიათ“,—ამბობს არაგო და ბრუნდება უკან. „ვერაფერი გავაწყვე, ხალხი გაგიჟებულა, დეე ძალამ გადაკრას“ განუცხადა არაგომ აფიცრებს. და ეს 64 წლის მსწავლული წინ უძღება ზარბაზნებით შეიარაღებული.

ჯარს მუშებთან საბრძოლველათ. მებარიკადენი რამდენიმე სროლის შემდეგ ტოვებენ ბარიკადს და გადადიან პანტეონის ბარიკადებისაკენ. არაგო აქიდან მიდის სენჟაკის ქუჩისაკენ, რომლის შესავალს კამანდრობს მილიციის მე-12 ლეგიონის კაპიტან ამიო. ,,მოქალაქე, მიმართა არაგოს, უკან გაბრუნდით‘‘. ,,მე კი არა, თქვენ, თქვენი ამხანაგებით უნდა დაბრუნდეთ, ეს საუკეთესო საშვალებაა სისხლის ღვრის შეჩერებისა, მიუგო არაგომ.—ეს შეუძლებელია.—მაშ არც ჩვენ დავბრუნდებით, უმატებს მსწავლული. ,,ტყვია გინდათ? საკმაოთ მიიღებთ‘‘ ეუბნება ამას და ბარიკადას უკან მიდის. არაგო უბრძანებს თავის საერო და მოძრავ მილიციას, მიდით, ხოლო თავის მხედროაით ბარიკადასმეორე მხრით შიესევა და დიდი ბრძოლის შემდეგ იღებენ. · ბრძოლა გრძელდება მეორე ბარიკადებზე ასეღალამდა 23 ივნისი და სროლა ყოველგან შეწყდა.

**ან.**

---

## დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა.

(კლარა ცეტკინასი).

თარგმანი რუსულიდან.

(შემდეგი *).

ყველა კანონებს, რომლებიც სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათ ეხებიან, ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ მთელი მუშათა კლასისათვის—როგორც—ქალებისათვის, ისე—კაცებისათვის. გადასახადები მუშა ქალებსაც ისე ავიწროებენ, როგორც მუშა—კაცებს.

სახელმწიფოც და კაპიტალისტებიც ყოველ ღონის ძიებას ხმარობენ, რომ შეამცირონ ისედაც მცირე შემოსავალი ღარიბ-ღატაკი ქალისა. ერთი მხრით მცირდება მისი ხელფასი, მეორე მხრით ძვირდება საჭირო სახმარი ნივთები და თუ მცირე ხელფასმა მისი მოთხოვნილება ვერ დააკმაყოფილა, საზოგადოება, თავისებური დიდ-სულოვანებით, თავაზობს მას პროსტიტუციას—ამ სამარცხვინო თანამედროვე თავის რჩენის საშუალებას. მაგრამ აქაც, ყოველგვარი წურბელა და ექსპლოატატორი, ხშირათ სახელმწიფო ან სათემო არ კარგავს შემთხვევას, რომ ამ „უფლების“ მინიჭებისთვის ქალებს შესაფერი ბეგარა დააკისროს.

ყოველ დიპლომატიურ ნაბიჯზს, ყოველ საბირჟო ხრიკს, გავლენა აქვს ქალის ხელფასის დაკლებაზე და შეუძლია მთლათ მოუსპოს მას მუშაობის, თავის რჩენის საშუალება.

სპეკულიაციამ, რომელიც უკიდურეს ზომამდის განვითარდა, საშინელი კრიზისები გამოიწვია, რაც ათასობით მიერეკება ქალებს გარეთ, ქუჩაში, მიერეკება საავათმყოფოებში, გარყვნილების სახლებში და ან სიცოცხლეზე ხელს აღებინებს მათ.

ომები, რომელთაც მრეწველობაზე ცუდი გავლენა აქვთ, მთელი წლობით ტოვებენ ქალებს ულუკმა-პუროთ... ყველა ის პირობები, რომელზედაც მისი არსებობაა დამოკიდებული, მჭიდროთ არიან შეკავშირებული საზოგადოებრივ ცხოვრებასთან და ყოველგვარ საზოგადო დაწესებულებასთან.

როგორ უნდა მოვთხოვოთ ქალს, რომ მან არ მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელიც აკისრებს მას ათასგვარ მოვალეობას, მაგრამ არავითარ უფლებას კი არ აძლევს?

რათ არ უნდა მიეცეს ქალებს, რომელნიც დღეს ეროვნული მრეწველობის თვალსაჩინო ფაქტორს წარმოადგენენ, რომელნიც თავიანთი ოფლითა და სისხლით ქმნიან ქვეყნის სიმდიდრეს და თითონ კი ნაფიჩხს იტოვებენ,—ვიმეორებ რათ არ უნდა მიეცეს მათ უფლება კრებისა, რომელზედაც თავიანთ ჭირ-ვარამზე მოლაპარაკება შეეძლოთ?!.

ნუ თუ იმათ არ უნდა ქონდეთ უფლება გაგზავნონ საკანონმდებლო დაწესებულებებში თავიანთი წარმომადგენელნი, რომელთაც ისინი ენდობიან და რომელნიც მართლა დაიცავენ მათ ინტერესებს?!.

იმ დღიდან, რაც ქალის მოქმედება ოჯახიდან საზოგადოებში გადავიდა, ყველა მისმა გრძნობებმა და აზრებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაიწყეს ტრიალი.

ქალი აწი ველარ დარჩება ოჯახის კერასთან, იმან უნდა იცხოვროს საზოგადოებაში და ყველა მისმა ეგოისტიურმა ინტერესებმა ადგილი დაუთმოს **საზოგადო, ფართო სულიდარობის გრძნობას**. ყველა პოლიტიკური და სოციალური უფლებები ქალისა მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას სრულიათ უნდა ედანხმებოდეს, უნდა ეთანხმებოდეს როლს, **ნაყოფიერი მწარმოებელისას.** ის აზრი, რომ ქალს, რომელიც თანამედროვე მრეწველობაში თვალსაჩინო როლს თამაშობს, არ უნდა მიენიჭოს პოლიტიკური უფლებები მხოლოთ, იმიტომ, რომ ის სამხედრო მოვალეობას არ ასრულებს,—ყოვლად შემცდარი აზრია. პოლიტიკურმა ეკონომიამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ ყოველგვარ შრომას, რომელიც საზოგადოებისათვის საჭირო და სასარგებლოა, თანასწორი ფასი აქვს.

დედაკაცის შრომის ნამაკაცის შრომაზე დაბლა დაყენება—ეს ძველი, გარდამავალი ხანის შეხედულებაა, როცესაც შრომა ორ გვარი იყო: „მაღალი“ და «დაბალი», „კეთილშობლური“ და „უბრალო“ ხოლო უმაღლეს და უკეთილშობილეს შრომათ კუპონების ჭრა ითვლებოდა.

ის აზრი, რომ ქალებს, «გონებრივი სიმწიფის» უქონლობის გამო პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიანთო მეტათ შემცდარი და დახავსებული შეხედულებაა. პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებისთვის საჭიროა მხოლოთ საღი მსჯელობა, პრაქტიკული მოსაზრება, თავის ინტერესებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ამ ინტერესების განუწყვეტელი ურთიერთ დამოკიდულების შეგნება.

პოლიტიკურსა და ეკონომიურ გამოცდილებას ქალი კერასთან ვერ შეიძენს. პოლიტიკური სიმწიფე არის შედეგი გამოცდილებისა და დაკვირვებისა, რომელსაც კაცი თვით ცხოვრებაში იძენს, და ქალიც, როგორც ნიჭიერი და ყველაფრის ადვილათ შემთვისებელი არსება, მალე შეიძენს მას. აქამდის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის მონაწილეობის მიღებას ხელს უშლიდა, როგორც კაცის თავმოყვარეობა, ეგოიზმი, ისე თვით ქალის გულგრილობა, ინდეფერენტიზმი.

თანამედროვე ეკონომიური და სოციალური პირობები აიძულებენ ქალს პოლიტიკური უფლებები მოითხოვოს, და იმ მნიშვნელოვანი როლის წყალობით, რომელსაც ის თანამედროვე მრეწველობაში თამაშობს, უსათუოთ მოიპოვებს ამ უფლებებს, თუ გინდ ეს მის ქმრის ან თვით ქალის სურვილებს ეწინააღმდეგებოდეს.

(შემდეგი იქნება).

---

*) იხ. „მოგზაური“ № 22,

## წერილები რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო!

,,მოგზაურის‘‘ ხუთი ივნისის №-ში შინაურ მიმოხილვაში სხვათა შორის ეწერა, რომ 31 მაისს თბილისის სემინარიაში მღვდლებზე ყაზახების თავდასხმის შემდეგ მეორე დღესვე მღვდლების უმრავლესობა დაიფანტენო. ეს ცნობა ვერ არის მართალი. 31 მაისს დილით დადგენილ იქმნა კრებისაგან: დარჩენილიყვნენ ქალაქში ოთხ-ოთხი დეპუტატი ყოველ საბლაღოჩინოდან, დანარჩენთ ნება მიეცათ წასულიყვნენ. ამის გამო ბევრი წავიდა მართლა, მაგრამ მომხდარ ამბისა გამო იმათგანი, ვისაც ეძლეოდა შინ წასვლის ნება და ჯერ კიდევ არ წასულიყო, ალარავინ მოშორებია თავიანთ ამხანაგებს კრებების გათავებამდე.

როგორც სამღვდელოების კრებების თავმჯდომარეთ ნამყოფი მოვალეთ ვთვლი ჩემს თავს გთხოვოთ გამოაქვეყნოთ ეს წერილი.

მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი.

22 ივნისი. სურამი.

—

წავიკითხეთ 300 მუშის რწმუნებულთა წერილი ,,ცნობის-ფურცლის‘‘ რედაქციის მიმართ (№ 2839) და გავკვირდით.

ნუ თუ 300 მუშაში ერთიც აღარ ერია ისეთი, რომ ნამდვილი ამბავი სცოდნოდა იმ გურულ მუშების შესახებ, რომელთა წინააღმდეგ 30 რწმუნებულთ წერილი დაუწერიათ. რამდენიც სიტყვაა, იმოდენი სიყალბეა. არავითარი უთანხმოება გურულ და მეგრელ მუშებს შორის დღემდის არ ყოფილა, ვინაიდგან არც ერთ სანავოსნო საზოგადოებაში მეგრელი მუშები არ მუშაობდნენ გარდა თითო ოროლასი და გაფიცვამდის არც მოსულან აქ სამუშაოს საძებრათ. უთანხმოება იყო გურულ და იმერელ მუშებს შორის და ისიც ხელოვნურათ გამოწვეული, მარა ესეც მხოლოთ მაშინ, როცა ,,კანტრაქტის‘‘ დაწერის დრო მოაწევდა: ესე იყო როცა ,,ფოდრადჩიკებს‘‘ მადა გაეხსნებოდათ.

სიმართლეს მოკლებულია ისიც თითქო გურულ მუშებს ,,მიესაკუთრებიოს‘‘ ორივე სანავოსნო საზოგადოება და გაფიცვის შემდეგ მიელოთ რამოდენიმე ასი ახალ-ჩამოსული გურული მუშა, მეგრელები კი არა, რომლებიც თითქოს მოსულიყვენ სამუშაოს გაწეს-რიგების დროს. ორივე სანავოსნო საზოგადოებაში მუშაობენ დღესაც ისინი, ვინც გაფიცვამდის მუშაობდენ: იმერლები, გურულები, თათრები, სომხები და რამდენიმე მეგრელიც. მაგრამ, რომ მუშის მიერ გაყვლეფა მუშისვე არ მომხთარიყო, გავითანასწოროთ ის დღიური მუშები (იმერლები და გურულები, მეგრელები კი არ ყოფილან დღიურათ), რომლებიც გაფიცვამდი მუშაობდენ ორივე სანავოსნო საზოგადოებაში. გავითანასწოროთ ყველა, გარდა თათრებისა და სომხების, რომელთაც დღიურადვე დარჩენა ირჩიეს დღის ქირის მომატებით, რაიცა ასრულებული იქმნა. თებერვალში, ე. ი. მაშინ, როცა გაფიცვა დასრულდა და სამუშაოს თადარიგს შეუდექით, მეგრელი მუშები ჩვენთან არ მოსულან. მოვიდნენ ისინი ჩვენთან არა თებერვალში, არამედ მარტში. თებერვალში ჩვენთან მოვიდნენ 8 იმერელი და 30 გურული მუშები, მაგრამ უალაგობის გამო უარი უთხარით.

მტკნარი სიცრუეა ისიც, თითქო ჩვენ მეგრელი მუშების მოციქულნი მუქარით გაგვესტუმრებიოს. წინააღმდეგ, ჩვენ ყოველთვის ამხანაგურ პასუხს ვაძლევდით მათ და თუ პატივ-ცემულნი მოციქულნი ჩვენ სიტყვებს ამახინჯებდენ, ეგ რა ჩვენი ბრალია! მართალია, წერილობით მოთხოვნილებებში ისინი თხოულობდენ, რომ პროპორციონალურათ განაწილებულიყო სამუშაო გურულებს, მეგრელებს და იმერლებს შორის (და არა სომხებს და თათრებშიც). მაგრამ პირად მოლაპარაკებაში ისინი დაჟინებით თხოულობდენ ერთერთ ,,საზოგადოების‘‘ დათმობას. როგორც პირველის, ისე მეორე მოთხოვნილების ასრულება შეუძლებელი იყო და აი რათა: თუ პროპორციონალურათ იქმნებოდა მიღებული გურული, მეგრელი და იმერელი იმ შემთხვევაში ან უნდა მიგვეღო იმდენი იმერელი და მეგრელი მუშები, რომ შემდეგ სამუშაო ველარ გასწვდებოდა, ან და დაგვეთხოვნა უნდა სამუშაოდან რამდენიმე გურული მუშა, რაც შეუძლებელი იყო. ასევე უნდა მომხდარიყო თუ ერთერთ ,,საზოგადოებას‘‘ დაუთმობდით. განა ამას კიდევ განმარტება უნდა? ჩვენ დავპირდით მათ ის, რის ასრულება შეიძლებოდა. დავუთმეთ კერძო სამუშაო, რომელსაც არტელი მუშაობდა და დათმობაც შეიძლებოდა. დავპირდით როცა საჭიროება იქნება, მეგრელ მუშებს მივიღებდით, მაგრამ მათ ეს არ ისურვეს. უშოვნეთ 15 კაცს სამუშაო ინჟინერ სკარჟინსკისთან, მაგრამ მეორე დღესვე უკანვე გამოაქციეს. მივიღეთ 30 მუშა ორივე ,,საზოგადოებაში‘‘, მაგრამ მოგვიცვივდენ ყაზარმაში და კინაღამ აგვიკლეს: ,,ჩვენ სხვა მიზანი გვაქვსო‘‘ და მუშები უკანვე გაირეკეს. ჩვენ შეგვეძლო მიგვეღებინებინა რკინის გზაში დამტვირთველებათ რამოდენიმე მეგრელი მუშა, სადაც მივაღებინეთ თათრები, სომხები, იმერლები, გურულები და სხვები, მაგრამ მაშინ ისინი ჩვენ წინააღმდეგ პროექტებს არდგენდენ და სამუშაოსათვის არ ცხელოდათ. ვერც ერთი ამეებით ისინი ვერ დავაკმაყოფილეთ და სხვა ჩვენ რა შეგვეძლო! განა ჩვენა ვართ დამნაშავენი, რომ ქუთაიში სათადარიგო რაზმი ბევრია?

16 მაისს მოვიდენ ჩვენთან არა სამედიატორო სამართლის მოსათხოვნათ, არამედ მუქარით: ,,დაკეტეთ საწყობები, დაანებეთ თავი სამუშაოსო‘‘. რომ შეტაკება არ მომხდარიყო, ჩვენ სამუშაოს მოვშორდით. რაც შეეხება პოლიციის მოწვევას, ჩვენ არ ვიცით ვინ მოიწვია. არც ის ვის უფრო ემხრობოდა პოლიცია, ჩვენ, მათ თუ სხვა ვისმეს: როცა ჩვენ შეტაკების ასაშორებლათ სამუშაოს გავშორდით, გვიბრძანა: ,,წადით იმუშავეთ, თორემ თქვენს მაგივრათ მეგრელ მუშებს გავგზავნიო‘‘. განა ამას ჰქვია დახმარება?

,,არა მუშა წარმომადგენელის‘‘ მიერ მეგრელი მუშების მოციქულების გალანძღვა ტყუილია, მაგრამ, იმედია, ის თვითონ გასცემს მათ პასუხს.

ორივე სანაოსნო საზოგადოების არტელის მუშების რწმუნებულნი: პართენ ჩხიკვაძე, ეზეკია კვინცრიძე, კოსტაია მახარაძე, გიგო კალანდაძე, იოსებ ჟღენტი, იასონ რუხაძე, ბესარიონ დოლიძე, კირილე ლომაძე.

—

ბატონო რედაქტორო!

თქვენი გაზეთის საშუალებით ნება გვიბოძეთ გამოვაცხადოთ მკითხველთა საყურადღებოთ ის მოთხოვნები, რომლებზედაც დავეთანხმეთ გლეხებს და ჩამოვაგდეთ ჩვენს შორის კეთილი განწყობილება ჩვენ ქვემორე ხელის მომწერელნი ს. შინდისში (გორის მაზრა) მცხოვრებელნი სასულიერო პირნი და აზნაურნი. ეს მოთხოვნები არის შემდეგი:

1) მიეცეთ გლეხებს ნადელები სრულ საკუთრებათ.

2) მემამულეების საკუთარი მიწა უნდა გაიცეს გლეხებზე, რასაც თითონ არ დაისაჭიროვებს, მეათედათ,

3) გლეხებს შეეძლოთ თავისუფლათ სარგებლობა ქვიშითა, და ნარიყით უფასოთ.

4) საძოვრები მიეცეს საქონლისათვის უსასყიდლოთ.

5) გლეხებს ნება ქონდეთ ტყიდან უფასოთ გამოზიდონ მასალა თავის სახლის საჭიროებისათვის.

ერთი სიტყვით უცხადებთ ძმობას და უერთდებით ყველა პროგრამში, რაზედაც ხელს ვაწერთ:

ზაალ მახვილაძე, დიმიტრი მახვილაძე, ნინა გარსევანოვისა, ალექსანდრე ბერძნიშვილი, სვიმონ მირზაშვილი, ალათია ყიფშიძისა, მიხეილ გარსევანოვი, კოსტე მირზაშვილი, მიხეილ მირზაშვილი, არჩილ მირზაშვილი, იასონ ბერძნიშვილი, ვანო მირზაშვილი, ალექსანდრე რამინოვი, ვანკა გარსევანოვი, შაშიკო გარსევანოვი, მთავარ-დიაკვანი იოანნე რჩეულოვი, კოტე მირზაშვილი, იასე დავითაშვილი, პლატონ მირზაშვილი, ლუკა მირზაშვილი, გიორგი მირზაშვილი სანდრო გარსევანოვი, ლევან დავითაშვილი, ვანო გარსევანოვი, გიგო მირზაშვილი, ქრისტეფორ დავითაშვილი, სოსო დავითაშვილი, ილიკო დავითაშვილი, დათიკო დავითაშვილი, დათიკო გარსევანოვი, ილო ბერძნიშვილი, გ. სალარიძე, მღ. დავით სიმონოვი, ბაბილ დავითაშვილი, მარიამ დავითაშვილისა, ნინო თუღაევისა, მღ. ონისიმე კვინიკაძე, ოლგა მირზაშვილისა, ნინა მირზაშვილისა, დარისპან თაყაიშვილი, ზურაბ თაყაიშვილი, იასონ თავეელიშვილი; სულ 42 სულს უწერია ხელი.

ვთხოვთ სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდონ ეს ჩვენი წერილი.

—

რედ.-გამომც. ი. პ. როსტომაშვილი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го Іюля 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა. რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.